ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერი, 1938 წ. პარიზი. № 5 (84) Paris, Octobre 1938

# ბრძოლის ხმა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.



კონსტანტინე საბახტარიშვილი
(1884—1938)

# მეგობრის ხსოვნას

ბედი არ გვწყალობს. ჩვენ რიგებს გამოეცალა კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი, მეტად ენერგიული, აქტიური და მოქმედი ადამიანი—კოწია საბახტარიშვილი. ის დიდხანს ავათმყოფობდა ქრონიკული მენენგიტით, 5-6 წელი იწვალა. მას გამოჩენილი პროფესორ-სპეციალისტები აქიმობდენ, სხვადასხვა საავათმყოფოებშიდაც იწვა. მოვლა, ამხანაგების და მეგობრების ყურადღება, სითბო და პატივისცემა მას არ აკლდა, მაგრამ არაფერმა არ უშველა და ასე უდროვოდ სამუდამოთ გაგვშორდა. ის გარდაიცვალა დილით 21 ივლისს.

შეძლებული ოჯახის შვილი, კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, როცა კოწია სოციალისტურ მოძრაობას შეუერთდა, ამ მოძრაობის იდეები ენთუზიაზმით მიიღო და გაიზიარა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა და იქ ფიქრობდა უმაღლესი განათლების დამთავრებას. მაგრამ 1905 წელს მოსკოვის აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო ის იძულებული შეიქნა მოსკოვი მიეტოვებინა და მის მშობლიურ ქალაქ ფოთში დაბრუნდა; იქ დაეწაფა პარტიულ მუშაობას სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციაში და დიდის გატაცებით საქმიანობდა. მალე პოლიციამ ის იქაც მიაგნო. მოსკოვიდან მოსული ბრძანებით ის უნდა დაეტუსაღებიათ, მაგრამ მან მოასწრო გადამალვა და შემდეგ საზღვარ გარეთ—ჟენევაში წამოვიდა.

შვეიცარიაში კოწიამ განაგრძო იურიდიული მეცნიერებათა შესწავლა და უმაღლესი განათლება წარმატებით დაამთავრა. ჟენევაში ის ემიგრანტების სოციალდემოკრატიულ ჯგუფს ეკუთვნოდა და თავის სპეციალური საგნების გარდა საზოგადო განათლების სხვა სფეროებშიდაც ბევრს კითხულობდა და მეცადინეობდა.

1917 წელს რევოლიუციის შემდეგ კოწია ფოთში დაბინავდა და იქ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. მაგრამ ის მალე ფოთიდან ბათომში მიიწვიეს და იქ განახლებულ თვითმართველობის ქალაქის თავათ აირჩიეს. ამ პოსტზე მას დიდი ღირსებით ეჭირა თავი და ადგილობრივი მცხოვრებლების სათანადო პატივისცემა დაიმსახურა.

ბათომის თურქების მიერ დაჭერის შემდეგ კოწია თფილისში გადმოვიდა და იქ საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგათ იქნა მიწვეული, მაგრამ ამ ადგილზე დიდხანს არ დარჩენილა და საქართველოს მთავრობამ ის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგათ დანიშნა. ამ თანამდებობას ის ასრულებდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდე. ამავე თანამდებობაზე მყოფი ის ხელმძღვანელობდა იტალიაში მისი თავმჯდომარეობით წარგზავნილ განსაკუთრებულ მისიას, რომლის მთავარი მზანი იყო საქართველოს და იტალიის შორის ეკონომიური დაახლოვება.

კოწია იყო აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კოწია ევროპაში წამოვიდა და აქ ეწეოდა ენერგიულ მუშაობას უცხო წრეებში ჩვენი მტრების წინააღმდეგ და ჩვენი საკითხისადმი თანამგრძნობთა შესაძენათ. უცხო წრეებში მუშაობა მას უყვარდა და ასეთი მუშაობა კარგადაც ეხერხებოდა: უცხოელებზე ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა და მათ შორის მეგობრებს ადვილად იძენდა.

კოწია ფხიანი, მოძრავი, აქტიური, ინიციატივის მქონე, პასუხისმგებლობის და ვალდებულების ყოველთვის დიდათ მგრძნობი, ყოველივე დავალებას მუდამ პირნათლად და დაუზარებლად ასრულებდა.

ფიცხი გურული, თუ კოწიას დღეს გული კი რამეზე მოუვიდოდა, ხვალ ამ გულმოსულობის მას არაფერი არ ახსოვდა. ბუნებით კეთილი, მას ყველასათვის კარგი უნდოდა. ვინმესადმი მტრობა და ორგულობა მის არსებას არ ეგუებოდა. კარგი ამხანაგი და მეგობარი, უაღრესად პატიოსანი და სპეტაკი ადამიანი, კოწია ყველასათვის მეტად სიმპატიური და საყვარელი პიროვნება იყო.

კოწია საბახტარიშვილის ასე უფროვოდ დაკარგვა უდიდესი დანაკლისია ჩვენი საერთო საქმისათვის.

კ. გვარჯალაძე.

# მთავარი ამოცანა

სექტემბრის უკანასკნელ დღეებში მთელი ევროპა ომის უდიდეს კატასტროფის წინაშე იდგა. და როცა ეს კატასტროფა, დროებით მაინც, დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით და კომპრომისით თავიდან აცილებულ იქნა, მთელი კაცობრიობა სიხარულს მიეცა და მან თავისუფლად ამოისუნთქა.

მგლოვიარე, ფიზიკურათ და მატერიალურათ დაზარალებული, მოკავშირეების მიერ მიტოვებული და იმედ გაცრუებული ამ კრიზისიდან მხოლოდ ჩეხოსლოვაკია გამოვიდა. მას არაფერი არ ჰკითხეს, მის ზურგს უკან მოილაპარაკეს, სავალდებულო არბიტრაჟიც არ შესთავაზეს და ოცი წლის წინეთ ვერსალში მისდამი ოფიციალურად ნაბოძები ადგილები ეხლა ძალით და მუქარით უკანვე წაიღეს.

ვერსალის ზავის უვარგისობაზე და მისი გადასინჯვის საჭიროებაზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა, მაგრამ ეს საკითხი არა თუ შესაფერისად არ მოგვარებულა, არამედ დიდ ომში გამარჯვებული ქვეყნები ამ ოცი წლის განმავლობაში ყველაფერს შვებოდენ იმისათვის, რომ შეექნათ ისეთი მდგომარეობა და პირობები, რომელიც მუდამ იწვევდა დამარცხებულ სახელმწიფოთა უკმაყოფილებას და მათ ეროვნულ თავმოყვარეობის და ღირსების გაღიზიანებას და შეურაცყოფას.

ერთ საკვირველ ამბავს ჰქონდა ადგილი: დიდი დემოკრატიული ქვეყნები მოქმედებდენ დემოკრატიული პრინციპის მიხედვით და თვითგამორკვევის უფლებას და საშუალებას აძლევდენ მათ მანდატის, თუ პროტექტორატის ქვეშ მყოფ პატარა ერებს. ამის შედეგი იყო ის, რომ სირია და ლიბანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ იქნა ცნობილი საფრანგეთის მიერ. ინგლისიც დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ირაქის, ეგვიპტეს, თუ ირლანდიისათვის დროზე გაეკეთებია დათმობები და ისინი თავის მზრუნველობისაგან გაენთავისუფლებია, თორემ ეს პატარა ერები თავიანთ მიზანს დაბოლოს მაინც მიაღწევდენ და თავისუფალი გახდებოდენ. მაგრამ იგივე ინგლისი და საფრანგეთი არ ფიქრობდენ იმაზე, რომ მით უფრო შეუძლებელი იყო დიდი ხნით არტახებით შეკრული ყოლოდათ მრავალ მილიონიანი გერმანელი ერი. ისინი არ ცდილობდენ დროზე გამოენახათ შესაფერისი კომპრომისი როგორც გერმანიასთან, ისე სხვა უკმაყოფილო სახელმწიფოებთან და ამ გზით ყველანი ნორმალურ ცხოვრების კალაპოტში ჩამდგარიყვენ. ეს ასე არ მოხდა და უკმაყოფილონი არსებულ მდგომარეობის ძალით გარღვევას შეუდგენ. ჯერ იტალიაში, შემდეგ გერმანიაში ძალზე ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებს მალე უმრავლესობა მიემხრო, ორივე ალაგას დემოკრატიული რეჟიმი წალეკეს და დიქტატურა დაამყარეს. ეს ორი დიქტატურა უმთავრესად დაუპირდაპირდა ევროპის დემოკრატიას და მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

დემოკრატიული და ტოტალიტალური ქვეყნების ამ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთიც ცდილობდა როლი ეთამაშა. არსებულ პირობებში რუსეთმა საფრანგეთ-ინგლისის მხარეზე დგომა არჩია. ეს მას დღეს სჭირია, რადგან გერმანიის და მისი მოკავშირეების ეშინია. რუსეთმა ხელშეკრულებაც დასდვა საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან. მაგრამ ამ მოკავშირეებს რუსეთის დიდი იმედი არასოდეს არ უნდა ქონებოდათ, რადგანაც მათ არ იციან და მუდამ იმის ძიებაში არიან, თუ ხვალ რა მოხდება კომუნისტურ სამფლობელოში და საით იბრუნებს პირს კრემლის დიქტატურა. ვინც ამ ბოლო ხანებში აკვირდებოდა და სერიოზულად ეცნობოდა საბჭოთა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას, მის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას, დიდმყრობელურ რუსულ ნაციონალიზმის ზრდას და განვითარებას, ის დღითი დღე უფრო და უფრო რწმუნდება, რომ საბჭოთა რუსეთი დღეს არსებითად ტოტალიტალური და ფაშისტური ქვეყანაა და მას სხვა დიქტატურებთან გაცილებით მეტი საერთო აქვს, ვიდრე ევროპის დემოკრატიასთან.

ამ უკანასკნელ საერთაშორისო კრიზისის დროს აშკარა და ნათელი გახდა საბჭოთა დიქტატურის ინტრიგები და ჩუმი ზრახვები. მოსკოვი, რომელსაც გერმანიის თავდასხმის მუდამ ეშინია, იმის ცდაში იყო, რომ საომარი კონფლიქტი ეხლავე დასავლეთ ქვეყნების და გერმანიის შორის მომხდარიყო, ამ კონფლიქტში მას რაც შეიძლება ნაკლები მონაწილეობა მიეღო და მით თავისი ძალები გადაერჩინა. შემდეგ ომით დასუსტებულ ევროპის ქვეყნებში სამოქალაქო ომი გაემართა და ყოველგან თავისი დომინაცია უზრუნველეყო. ამ მხრივ იყო მიმართული კრემლის აგენტების მუშაობაც დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ასეთ საქმიანობას მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს წინეთ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე არ აყოფილა ისეთი ცუდი, მისი პრესტიჟი და ღირსება ისე დაცემული და შელახული, როგორც ის დღეს არის. მას არავინ არავითარ ანგარიშს არ უწევს, მას არავინ არაფერს ეკითხება; ევროპის საქმეებს უმისოთ აწყობენ და სწყვეტენ, ერთმანეთში თანხმდებიან და მას სრულ იზოლიაციაში აგდებენ.

უკანასკნელ ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია რუსეთიდან გადმოხვეწილ ემიგრანტების სხვადასხვა წრეებშიდაც. ზოგი მათგანი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ჩაგრულ ერებმა უნდა აიღონ ტოტალიტალური ქვეყნების «ნაციონალისტური დინამიზმის» გეზი და მოსალოდნელ საერთაშორისო საომარ კონფლიქტის დროს დადგენ მათ მხარეზე და მათთან ერთად იმოქმედონ.

საომარ კონფლიქტში ჩასარევათ მოუწოდებდენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა ერებს და, განსაკუთრებით, მათ მშრომელ ნაწილს რუსი ემიგრანტი-ბოლშევიზანები. ისინი მათგან მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ენერგიულად და თავგამოდებით დაცვას. ეს არამკითხე მეამბენი, რომელთაც არა თუ კავშირის ხალხებში, არამედ თვით ველიკოროსიაში არავითარი გავლენა და წონა არ აქვთ, მოგვიწოდებენ დავიცვათ ის მდგომარეობა, რომელშიდაც ჩაგრულ ერებს აყრილი აქვთ ყოველგვარი უფლებები და წართმეული აქვთ ადამიანური ცხოვრების საშუალებები!..

რაც შეეხება, საერთოდ, საომარ კონფლიქტებში ჩარევის საკითხს, ამ მხრივ კავკასიის ერებს დიდი და მეტად საყურადღებო გამოცდილება აქვთ მიღებული.

დიდი ომის დროს ქართველი ერი ნებაყოფლობით და აქტიურად არ მიმხრობია არც ერთ მეომარ კოალიციას, არ დასდგომია ავანტიურის გზას და ამით მან თავისი ფიზიკური არსებობა გადაირჩინა. ერთი ჩვენი მეზობელი კი აქტიურად ჩაერია ასეთ კონფლიქტში, მიემხრო აშკარად ერთ მეომარ მხარეს და ამან ის მეტად დააზიანა და მას დიდად ავნო.

არსებულ პატარა სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა, რომელთაც უკანასკნელ ამბების დროს არავისგან არ ჰქონიათ გარანტია მათი დამოუკიდებელი არსებობის შესანარჩუნებლად, არჩევდა დასდგომოდა ნეიტრალურ გზას და არ ჩარეოდა დიდ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტში. თვით პატარა დემოკრატიული სახელმჩიფონი, როგორც, მაგალითად, შვეიცარია, ბელგია, გოლანდია და სკანდინავიის ქვეყნები, ერიდებიან დიდ დემოკრატიულ ქვეყნებთან საომარი კავშირის შეკვრას. ასეთივე კავშირს გაურბიან პატარა ტოტალიტალური, თუ ნახევრად ტოტალიტალური ქვეყნები დიდ ტოტალიტალურ სახელმწიფოებთან. ყველა ფრთხილად მოქმედებს და თავის გადარჩენაზე ფიქრობს. საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ჩაგრულ ერებსაც დიდად მართებს ფრთხილად მოქმედება და თავისი ფიზიკური არსებობის გადარჩენაზე სერიოზულად დაფიქრება.

ჩვენი მთავარი ამოცანა, ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხი ეს ჩვენი ერის დარაზმვა და ყველა მისი სასიცოცხლო ძალების გაერთიანებაა. მთელი ჩვენი ძალა და მუშაობა მთელი ჩვენი მონდომებით აქეთ უნდა იყოს მიმართული. და თუ ასეთივე მუშაობას ადგილი ექნება ჩვენ კავკასიელ მეზობლებში და საბჭოთა კავშირის სხვა ჩაგრულ ერებშიდაც, საერთო გაერთიანების დროც არ დააყოვნებს.

მთავარი ჩვენი ორიენტაცია ჩვენივე საკუთარ ძალებზე უნდა იქნას აღებული.

ყველაზე უფრო საზარალო და მავნებელია ის, რომ შველას და ხსნას მხოლოდ სხვებისაგან მოელოდე და თავის თავის იმედი ნაკლებად ჰქონდეს.

მუდამ უნდა ვზრუნავდეთ რა ზემოდ დასახულ ჩვენ მთავარ ამოცანაზე, ამავე დროს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის, განსაკუთრებით, ქართული პოლიტიკის აქაური ხელმძღვანელობის მოვალეობაა ევროპის საზოგადოებრივი აზრის ყველა წრეებში თავისუფალი საქართველოს აღდგენის რაც შეიძლება მეტი მომხრენი და დამცველები შეიძინოს. მაგრამ ასეთი მუშაობა რომ წარმატებით ჩატარდეს და ჩვენ ყურადღება მოგვაქციონ და შესაფერისი ანგარიში გაგვიწიონ, პირველ ყოვლისა საჭიროა ჩვენი საკუთარი ძალების გაერთიანება-მთლიანობა და საბრძოლველ პოსტზე მზად და მაგრად დგომა.

პ. ვ.

# აჯანყების მეორე დღეს

(1924 წლის აჯანყების მოგონებიდან)

იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი ჯალათ ჩეკისტების მეთაურობით უიარაღო ხალხს ხვრეტდა, ზოგან მკვდრებიც არ იყო, დამარხული და არც მებრძოლთა სისხლით გაჟღენთილი მიწა გამშრალი, გასაოცარი გაბედულობით მთელი ხალხი დაჭრილ ლომივით ზე ჭამოიჭრა, ეროვნულ სასიცოცხლო ძალების გადარჩენას შეუდგა…

პირველათ ხალხმა ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაიტაცა, სახლებში, ბეღლებში, სასიმინდენალიებში, ტყეებში საიმედო ალაგას ისინი გადამალა. კარაბადინის მცოდნე გამოცდილი დედაკაცები, მოტეხილის და ჭრილობების სოფლის მკურნალი ბაჭიაშვილის, თურმანიძე-არობელიძის მიერ დაზრდილი ვაჟკაცები საიდუმლოთ მოდიოდენ, ჭრილობებს მაგარი არაყით ბანდენ, ბალახ-მცენარით შეზავებულ მალამოს ადებდენ, ტყვიით გახვრეტილ ალაგას ზეთში ამოვლებულ ლერწამ-კანაფის გულს ჩირქის სადენ მილათ უკეთებდენ; ადუღებულ წყალში ზეწარ პირსახოცებს დუღვრიდენ, არაყში ავლებდენ და მით მათ ჭრილობებს უხვევდენ.

ჩვენი მადლიანი დედები, მოსიყვარულე დები დღიან ღამიანა დაჭრილებს თავს ადგენ, ჩუმად სიფრთხილით უვლიდენ, ალერსით ტანჯვას უმსუბუქებდენ.

ცოცხლათ გადარჩენილ აჯანყების მეთაურებს საიმედო სახლებში მალვიდენ, მიუვალ ტყე-კლდეებში გაყავდათ, საჭმელს, ფარაჯებს, ნაბდებს, წუღებს აწვდიდენ, ორი თვის განმავლობაში წარმოუდგენელ შიშსა და რწოლაში დაგეშილ ძაღლებსავით მაძებარ ჩეკისტებისაგან იფარავდენ, თვით განსაცდელში ვარდებოდენ...

სამეგრელოდან, იმერეთიდან შემთხვევით გადარჩენილ მებრძოლებს წინ მოუძღოდათ ღრმა მოხუცები, რომლებსაც თოვლივით თეთრი წვერი წელზე სცემდათ; ღამე საიმედო გზით გურიაში მოყავდათ, აქედან კი ოსმალეთში გაყავდათ; «შეფიცულები», ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მთებიდან მთებზე გადაყავდათ, ახალციხე-ფოცხოვის საზღვარზე აცილებდენ: ვაჟკაცურათ, მხნეთ იყავით, თქვენი თავი სამშობლოს სჭირია,—აბარებდენ... ასე გაიყვანეს მიხეილ ლაშქარაშვილი ქართლიდან... თფილისმა და მის ახლო-მახლო მდებარეობამ ერთი წლის განმავლობაში შეინახა პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია და შემდეგ მეფის თვითმპყრობელობასთან მებრძოლმა, სახელოვანმა ჭაღარა კახელმა რევოლიუციონერმა ის ბაკურიანის მთით სამშვიდობოს გაიყვანა...

საზღაპრო, წარმოუდგენელი თავგანწირვით გადამალეს გურიის ხელხმძღანელი რაზმი გურიის მთის შვილებმა, გამხეცებულ ჩეკისტებს ხელიდან გამოგლიჯეს, საშვილიშვილო, სასახელო საქმე ქმნეს. ასევე ეხმარებოდენ გაქცეულებს ჩვენი ღვიძლი ძმები აჭარაში, მათი დედები და დები ლაზისტანში. ოსმალეთში მცხოვრები ძველი გამუსულმანებული ქართველები გულმოდგინეთ გადახვეწილებს შველოდენ, ძმურათ ყოველგან ხვდებოდენ.

ხალხის შემოძახებით გამხნევებული მეთაურები გაბედულათ მოქმედებდენ, მეტათ რთულ, ჯოჯოხეთათ ქცეულ პირობებში ახალ ორგანიზაციას ქმნიდენ, კვლავ ბრძოლისათვის ირაზმებოდენ.

რაკი საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი დაჭერილი იყო, ბრძოლის ველზე სოციალ-დემოკრატიული საორგანიზაციო კომიტეტი ამოისახა, ათეული წლების განმავლობაში. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ციხე-ციმბირში, კატორღაში გაჭაღარებულნი რევოლიუციონერები ახალგაზდა მესვეურებს კვლავ გვერდში ამოუდგენ, თავიანთი გამოცდილებით, ფოლადისებური სიმტკიცით მოქმედებას შეუდგენ.

მიუხედავათ იმისა, რომ თფილისი სამხედრო ბანაკათ იყო გადაქცეული და ერის გამათავისუფლებელი კომიტეტი შეპყრობილი, არც ერთი დღე, არც ერთი საათი ქართველი ხალხი უმეთაუროთ არ დარჩენილა. სოციალდემოკრატიულმა საორგანიზაციო კომიტეტმა თფილისის მდგომარეობა გამოარკვია, შემდეგ სასწრაფოთ საიმედო, გამოცდილი შიკრიკები საქართველოს ყოველ კუთხეში დაგზავნა, საერთო მდგომარეობის შესწავლას შეუდგა.

გასაოცარი გაბედულობით, სიფრთხილით და გამოცდილებით, ხალხის მიერ გამორჩეულ მეგზურ ვაჟკაცებს ერთი მთის კალთებიდან მეორე სერზე ეს შიკრიკები გადაყავდათ, ჩაკოტვილ სიმიდების ყანებით, ტყე-ბუჩქნარ ჭალებით რუსის ჯარის მიერ გაკრულ რკალს შეუმჩნევლათ ეპარებოდენ, სოფლებში ღამით ფრთხილათ შედიოდენ, შექმნილ მდგომარეობაში ერკვეოდენ, ცნობებს კრეფდენ, სხვა და სხვა კუთხის ამბებს ამომწებდენ და თფილისში ახლად გადახალისებულ სოციალდემოკრატიულ

ცენტრს—საორგანიზაციო კომიტეტს აწვდიდენ. ეს ცნობები თფილისში ჩვენ სასიქადულო დედებს თავიანთ მადლიან გულმკერდზე აკრული გადაქონდათ. ისინი თავიანთ შვილებს, სასახელო ვაჟკაცებს გაბედულ მოქმედებაში, თავგანწირვაში ეცილებოდენ.

ამ გზით ამბები პროვინციებიდან ჯერ თფილისში მიდიოდა, შემდეგ კი აქედან მთელი ხალხის ტანჯვა-წამება, შექმნილი მდგომარეობა, ერის მომავალი ზრახვანი, იმედით აღსავსე დაბეჭდილ ფურცლებით წამებულ სამშობლოს ემცნობოდა.

პროკლამაციების ბეჭდვა და მით ხალხის გამხნევება დამთავრდა ნოე ჟორდანიას მიერ ერისადმი მოწოდებით, რომელიც ტანჯულ ხალხს ცის მანანასავით მოევლინა. ეს მოწოდება ხელიდან ხელში გადადიოდა, მის წასაკითხავათ ვითარცა ძველი ქრისტიანენი, ისე იყრიდენ თავს ჩუმად, ზამთრის ცივ ღამეებში მას კითხულობდენ, წელში იმართებოდენ, ყველას იმედი ეძლეოდა. ამ მოწოდების ცეცხლმფრქვევი სიტყვებით თბებოდენ, თვალცრემლიანი, გაბრწყინებული სახით სიცოცხლისა და საარსებო ბრძოლისათვის ემზადებოდენ. ზამთრის ცივ გაყინულ სახლებში, სარდაფებში ახალგაზდა ვაჟებში და გოგონებში ამ დაბეჭდილ მოწოდებას რამდენიმე ცალათ გარკვეულათ სწერდენ და ისე მთელს ერში ავრცელებდენ.

საიდან პოულობდა ასეთნაირად გაწამებული ხალხი სულიერ ძალას, ან საიდან ღებულობდა ის ასეთ ენერგიას, ან სად იყო დაგროვილი ეს გამოცდილება?

ეს ჰკითხეთ საქართველოს წარსულს—ერის გადასარჩენათ წარმოებულ ბრძოლებს...

ვლასა მგელაძე.

## ისტორია à la კვინიტაძე

რუსულ «კავკაზ»-ის აგვისტო-სექტემბრის ნომერში მოთავსებულია ყოფილი მთავარსარდლის—გენ. კვინიტაძის—წერილი: «არდაგნის აღება». ამ სათაურის მიხედვით მკითხველი იფიქრებს, რომ გენ. კვინიტაძეს განუზრახავს «კავკაზ»-ის მკითხველებს გააცნოს მიუდგომლად და სისწორეთ ის ამბები, რომელთა მოწამე და მონაწილე თვითონ იყო. წერილის შინაარსი კი სულ სხვას გვიჩვენებს; იგი პირველ სტრიქონიდანვე ამჟღავნებს, რომ გენ. კვინიტაძეს აინტერესებს არა ისტორიული ამბის მიუდგომელი აღწერა, არამედ «კავკაზ»-ის პოზიციის გამართლება, რაც ნიშნავს გამართლებას იმ ორიოდე გზააბნეულ ქართველ ემიგრანტისა, რომელნიც ბამატს ამოუდგენ გვერდში და უწონებენ მას საქართველოს მიწა-წყლის გაჩუქება-გარიგებას. საქართველოს უბედურების ეგ მთავარსარდალი თავის წერილს ასე იწყებს:

«ჩვენი ემიგრანტულ პრესის ზოგ ნაწილში ბევრს წერენ ჩვენს უფლებებზე არდაგანსა და სხვა იმ ოლქებზე, რომლებიც ოსმალეთზე გადავიდენ, ამ ოლქების ჩვენს საზღვრებში ქონაზე თვით სტრატეგიული მოსაზრებითაც და სხ., მაგრამ ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველო რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობდა ამ ოლქებისა და თვით არდაგანის უქონლადაც».

არსებობაც არის და არსებობაც. ყოფილი მთავარსარდალი დღემდე იმაშიც კი არ ყოფილა გარკვეული, რომ საქართველო რუსეთის ტყვეობაში ჩააგდო მისი მიწა-წყლის დატაცებამ მეზობლების მიერ. მასზე უფრო ძლიერმა სამხრეთელმა მეზობლებმა საქართველოს წაართვეს დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე ნაწილები და მით მას გადაუჭრეს სასიცოცხლო და საარსებო ძარღვები. ამ საბედისწერო გარემოებამ იგი მიიყვანა დამოუკიდებლობის დაკარგვამდე და რუსეთის კოლონიის მდგომარეობაში ჩავარდნამდე.

ზემოდ ამონაწერს, რომელიც საკმაოდ ახასიათებს გენ. კვინიტაძის «დიდ პატრიოტობას», მოყვება არდაგნის აღების ისტორია 1919 წელში. ძნელია აქ იმის გამორკვევა თუ რა არის ამ ისტორიაში მართალი და რა შეთხზული. ხოლო ერთი კი ცხადი უნდა იყოს ყოველ მიუდგომელ მკითხველისათვის: გენ. კვინიტაძე თვითონ უკეთებს თავისთავს დიდი პატრიოტის რეკლამას. მისი აღწერით და მოწმობით საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი ყოფილა, რომ გენ. კვინიტაძის ხელმძღვანელობით არდაგანის რაიონში მომქმედი ქართველი ჯარები არდაგანზე წასულიყვენ და იგი აეღოთ; მთავრობას მისთვის სამისო «კატეგორიული ბრძანებაც» კი მიუცია, მაგრამ მას ამ ბრძანებისათვის ანგარიში არ გაუწევია და ჯარისთვის უბრძანებია «დაუყონებლივ წასულიყო არდაგანზე» და აეღო იგი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1919 წლის 20 აპრილს. ამ სტრიქონების წაკითხვაზე უნებურად გებადება კითხვა: რატომ ინება გენ. კვინიტაძემ მთავრობის «კატეგორიული ბრძანების» დარღვევა იმ არდაგნის ასაღებად, ურომლისოდაც «საქართველომ რამდენიმე საუკუნე იარსება» და რომლის სტრატეგიულ მნიშვნელობას დღეს ეგ ყოფილი მთავარსარდალი იჭვის ქვეშაც კი აყენებს?

აღმაშფოთებელია «პატრიოტ» გენერლის მტკიცება, რომ ვითომც ჩვენმა მთავრობამ არდაგანი და ართვინი გადასცა ოსმალეთის მთავრობას 1921 წელში, ხოლო ბათუმი კი იმავე წელში «ანკარაში მყოფმა ჩვენი მთავრობის რწმუნებულმა ს. მდივანმა. ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ გამოგონილი ეგ ლეგენდა მრავალჯერ იყო კატეგორიულად უარყოფილი. გენ. კვინიტაძე მაინც იმეორებს მას. იგი განსვენებულის სახელსაც კი არ ერიდება, იმ განსვენებულის, რომელსაც არ შეუძლია სამარიდან პასუხი გასცეს და მის საქციელს შესაფერი სახელი უწოდოს.

აბა ვინ არ იცის, რომ ოსმალეთის ჯარები შემოიჭრენ არდაგანში და ართვინში იმ დროს, როდე-

საც საქართველო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მოსკოვის ურდოების წინააღმდეგ. გენერალმა კვინიტაძემ ყველაზე უკეთესად იცის, რომ ის დროს საქართველოს არ ქონდა არავითარი საშვალება წინააღმდეგობა გაეწია ოსმალებისათვის ასეთივე პირობებში მოხდა ოსმალეთის სამხედრო ნაწილის შემოსვლა ბათუმშიც.

მთავარსარდალმა კვინიტაძემ თბილისის მიდამოებში წარმატებით მიმდინარე ბრძოლების შემდეგ თვითონ თბილისი უბრძოლველად დაუტოვა მტერს. ავჭალის მიმართულებით გამოჩენილი მტრის ათიოდე მხედარი შემოვლად მიიღო, პანიკას მიეცა და შესატევად გამზადებულ ფრონტების უმფროსებს მცხეთისაკენ დახევა უბრძანა. გადმოგვცემენ, რომ მის ბრძანებაში ისიც კი არ იყო ნაჩვენები, თუ სად უნდა გაჩერებულიყო და გამაგრებულიყო უკან დახეული ჯარები. ახლა ყველამ ვიცით, რომ არავითარ შემოვლას არ ჰქონია ადგილი. თბილისის დატოვება ისე მოულოდნელი აღმოჩდა მტრისათვის, რომ მეორე დღეს შემოსვლაც კი ვერ გაბედა დატოვებულ ქალაქში,—ეგონათ, რომ ხაფანგს უგებდა მტერს გენ. კვინიტაძე. თვითონ ორჯონიკიძემ დაადასტურა თბილისში გაკეთებულ მოხსენებაში, რომ იმ დროს ისინი ფიქრობდენ არა თბილისის აღებაზე, არამედ უკან დახევაზე და თბილისის მიდამოებში დამარცხებულ ჯარების სამშვიდობოში გაყვანაზე; ამ მიზნით ისინი აკეთებდენ მანიოვრებს, რაც გენ. კვინიტაძემ შემოვლა მიიღო და სატახტო ქალაქი მტერს მიუტოვა. გენ. კვინიტაძის ლოღიკას რომ გავყვეთ, მან თბილისი მოსკოვს გადასცა და ამიერიდან საქართველოს უფლება არა აქვს რაიმე პრეტენზიები იქონიოს თავის სატახტო ქალაქზე. ნუ თუ შეიძლება დავუშვათ, რომ გენ. კვინიტაძე—თბილისის უბრძოლველად დატოვების მთავარდამნაშავე—ერთი მეორისაგან ვერ არჩევს ნებაყოფლობით დათმობას და ძალით წაღებას?!.

გენ. კვინიტაძე არ ერიდება არავითარ გაუკუღმართებას ისტორიისა და აცხადებს, რომ «1921 წლის ყარსის ხელშეკრულობამ, «ბოლშევიკურმა», გაასწორა «მენშევიკური» ხელშეკრულობა ჩვენს სასარგებლოდ და დაუბრუნა საქართველოს მისთვის და მთელი კავკასიისათვის სასიცოცხლო ინტერესების მქონე ბათუმი». ზედმეტია იმის განმეორება, რომ 1921 წელში არც საქართველოს მთავრობას და არც აწ განსვენებულ ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს სვ. მდივანს არ დაუდვია ოსმალეთის მთავრობასთან არავითარი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც არდაგან-ართვინ-ბათუმი უნდა გადაცემოდა ოსმალეთს.

რაც შეეხება ბათუმის საქართველოსთვის დაბრუნებას, აქ გენ. კვინიტაძე სიმართლის დამახინჯებაში ყოველივე მოლოდინს აჭარბებს. ყველამ,—როგორც მტერმა, ისე მოყვარემ,—იცის, რომ ბათუმი დაუბრუნა საქართველოს არა ბოლშევიკურმა ყარსის ხელშეკრულობამ, არამედ გენ. კვინიტაძის წყალობით თბილისიდან დარცხვენილად წამოსულ ქართველი ჯარის ნაწილებმა ჩვენი მთავრობის დასტურითა და მითითებით; ბათუმი დაუბრუნა საქართველოს მისი შვილების მიერ ბათუმის ქუჩებში დანთხეულმა სისხლმა.

და ამ ქართული სისხლით დაბრუნებულ ბათუმს სადაოდ უხდის საქართველოს ის ბამატი, რომელსაც—ოი სირცხვილო!—გვერდში უდგას და ამართლებს საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი. ამაზე უფრო დიდ შეურაცხყოფას ვერვინ მიაყენებდა ბათუმის ქუჩებში გულგაგმირულ ქართველ მამულიშვილების ხსოვნას.

ბ. არიძე.

## ორი ყრილობა

### I.

მიმდინარე წლის 8 ივნისს თბილისში გაიხსნა უმაღლეს საბჭოს პირველი სესია. მან სამ დღეში მოათავა თავისი მოღვაწეობა და კმაყოფილი დაიშალა.

ორი თვის განმავლობაში ამზადებდა ბერია საბჭოს არჩევნებს. კრებები, თათბირები, მიტინგები ერთი მეორეს სცვლიდნენ. «კომუნისტი» ყოველდღიურად ქვეყანას აყრუებდა მოწოდებით: «ხმა მიეცით კომუნისტებსა და უპარტიოთა ბლოკს». თითქოს ხალხს ჰქონებოდეს საშვალება სხვა საარჩევნო სიის წამოყენების, თავის აზრის გამოთქმის, ან რომელიმე პოლიტიკურ მიმართულების მეტოქეთ გამოსვლის... სათვალმაქცო საარჩევნო კომედია ჩატარდა ზევიდან გამომუშავებული გეგმით, სტალინის ქება-დიდებით, მოსკოვის ბატონობის გამართლებით. დატრიალდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსულნი, ახალ-ახალი კადრები, ხალხისგან უცნობნი, ხელისუფლების მაძიებელნი. ხუმრობა ხომ არ არის! დეპუტატობის სახელი და სავარძელი, უქმად ჯდომა და თვიური ხელფასი.ააყენეს საარჩევნო კორიანტელი, ყველა თავის საქმეს აკეთებს; მოსკოვი თვალს უხვევს ყველას, თუ კი ვინმე კიდევ დარჩა გულუბრყვილო, «შეხედეთ, ხალხი თავისუფლათ ირჩევს თავის წარმომადგენლებსო». უკანასკნელნი კი დარბიან, სტალინმა გაგვაბედნიერა, აგვირჩიეთ და მოპოვებულ საამურ ცხოვრებას უპატრონებთო. გადაიკითხეთ თვითეულ მათგანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, რომელსაც «კომუნისტი» იძლევა, და დაინახავთ, 237 არჩეულ პირში ათიოდე არაა საზოგადო ასპარეზზე ცნობილნი, ერის ბედისა თუ უბედობის გამზიარებელნი. უმეტესობას გავლილი აქვს «კომსომოლას» ცნობილი ინსტიტუტი. გამოზრდილნი არიან საბჭოთა აპარატის, ბიუროკრატიის რიგების შესავსებლად, დიქტატურის გასამაგრებლად. საზოგადოების ეს სოციალური კატეგორია დღეს პრივილეგიურ პირობებში მოქცეული, აღიზარდა დიქტატურის მუხრუჭებში. მათი აზროვნება შეზღუდულია, პრიმიტიულია; პიროვნული ღირსება და თავისუფლება მისთვის უცხოა. ადამიანის პატივისცემა მისთვის ზედმეტი ბარგია. საკუთარი გამაძღარ კუჭის უზრუნველსაყოფად მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში შემუშავებულია თავისებური მორალი. საკუთარ მდგომარეობის შესანარჩუნებლად თუ უკეთესის მოსაპოვებლად მისთვის მისაღებია ყოველგვარი საშვალება. დიქტატურის თვალში ნდობის მოსაპოვებლად,—მის გვერდზე მოღალატის აღმოჩენა საუკეთესო ხერხია.

და აი მოხდა ამ პრივილეგიურ პირთა ყრილობა თავის სოციალურ უპირატესობის გასამტკიცებლად. მადლობის ნიშნად სამი დღის განმავლობაში გრიალებდა ტაში სტალინის ხსენებაზე. ამ ყრილობას არ დაუძრავს სიტყვა ქვეყნის ჭირვარამზე, მის წინაშე არ წამდგარა და ანგარიში არ ჩაუბარებია იმ საოკუპაციო ხელისუფლებას, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში განაგებდა მოსკოვის კარნახით ხალხის ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას.

სესია ირჩევს ორ კომისიას, საკანონმდებლო განზრახულებათა და საბიუჯეტოს. მთელი მისი მუშაობა ამით თავდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კომისრებისა და თავმჯდომარეების დანიშვნას. ჩვენ კი ვიცით, რომ ავტონომიურ რესპუბლიკის საბჭოებს კონსტიტუციის ძალით შეუძლიათ ილაყბონ ზოგიერთ საკანონმდებლო პროექტებზე, მაგრამ ისინი ვერავითარ საგრძნობ ცვლილებას ვერ შეიტანენ არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან არავითარი ახალი კანონების მიღება არ შეუძლიათ მოსკოვის მოწონების გარეშე. ბიუჯეტის შედგენა კი ეკუთვნის საკავშირო უმაღლეს საბჭოს და აი სწორედ იმავე დღეებში შესდგა ამ საბჭოს მეორე სესია, რომელმაც მიიღო ერთი მთლიანი საკავშირო ბიუჯეტი, საიდანაც გამორიცხულია ცალკე რესპუბლიკათა საბიუჯეტო ვარაუდი. მაშ რის მაქნისია ეს საქართველოს საბიუჯეტო კომისია?.. ან შეიძლება რომელიმე დეპუტატმა გადამალა ქვეყნის აწეწილი ეკონომიური მდგომარეობა და შეუწყვეტელი მტაცებლობა კოლმეურნეობაში?.. ან კი აქვს რომელიმე მათგანს რაიმე აზრი, გეგმა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოსაწყობად? ამისთვის გეგმები ხომ მოსკოვში მუშავდება. საქართველოს უმაღლესი საბჭო, არჩეული ტერორის ქვეშ, თავის შემადგენლობით წარმოადგენს მოსკოვის დასაყრდნობს ქართველი ერის ნებასურვილების, მისი პოლიტიკური ცხოვრების შესაბორკად. იქ არ გაისმის ხალხის წარმომადგენლის ხმა მის სასიცოცხლო ინტერესებზე, მის პოლიტიკურ უფლებებზე, მის ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრების უკეთესად მოწყობაზე. ის ერის სუვერენულ უფლების გამასხარავებაა. მისი ერთხელ კიდევ ფეხქვეშ გათელვაა.

II.

ბოლშევიკური დიქტატურის ბნელ საქმეების კარგ სურათს იძლევა აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საბჭოს პირველი სესიის გახსნამდე ერთი კვირით ადრე ჩატარებული კომპარტიის ყრილობა. პირველი თუ დეკორაციაა დიქტატურის ხელში, მეორე მისი სული და ხორცია, აქტიურია, მოძრავია. ამიტომ აქ უფრო აშკარავდება, თუ ვინ ბატონობს, რა მორალურ დაკნინებას განიცდის კომუნისტური არისტოკრატია...

კომუნისტურ პარტიას არასოდეს ქონებია ნიადაგი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ სინამდვილეში. თავის დროზე შულავრის გმირებმა ვერ შესძლეს დაეხვედრებიათ მათ მიერ შემოყვანილ უცხო ძალისთვის თუნდაც ერთი პარტიული უჯრედი. ხიშტით შემოტანილმა უცხო დოქტრინამ ვერ შესძლო დაპატრონებოდა ფართე მასების სულიერ და იდეურ მისწრაფებებს. ქართული სისხლით შეღებილი მისი დროშა გახდა სიმბოლო ძალადობის, ჩაგვრის, ტანჯვა-წვალების, ერის დამოუკიდებელი ცხოვრების მოსპობის, მისი თავისუფლების შებოჭვის, რუსეთის იმპერიალიზმის იარაღით გამარჯვების.

ადგილობრივ ცხოვრების მოსაწყობად, საჭირო ხდება დასაყრდნობ ორგანიზაციების შექმნა. ყველა ერშია უკმაყოფილონი, უზრუნველყოფილ ცხოვრების მაძიებელნი, სხვისი შრომის მტაცებელნი. კომპარტიამაც შექმნა ამათთაგან უჯრედები. ხელისუფლების მიერ დამყარებულ, ცხოვრების სასტიკ პირობების გამო ამ უჯრედებს თავს აფარებს ზოგიერთ ადგილებში მუშა და გლეხი. დღიდან ქვეყნის დაპყრობისა ათჯერ მაინც გაიცხრილა, დაიშალა ადგილობრივი უჯრედი. არ იქნა და ვერ მოხერხდა ამათაგან ბოლშევიზმის დაუფლება მისი იდეოლოგიის ათვისება. პარტია გადაიქცა ახალ-ახალ უერთგულეს მოხელეთა მაძებარ დაწესებულებად; აქედან დაიწყო ქიშპობა, ერთიმეორეს დაბეზღება საკუთარი კარიერის გასაკეთებლად მეორეს გაწბილება და გაბახება. ეს საშვალებანი გადაიქცა თვითმართველობის სისტემის მამოძრავებელ, მასაზრდოებელ წყაროთ.

არასოდეს კომპარტიის ყრილობა არ წარმოადგენდა შინაგანი დაშლის, მორალური დაცემის აპოთეოზს, როგორც წელს. მან თავი შეიყარა ზეიმი გამართოს, იტრაბახოს გუშინდელ საკუთარ ხელმძღვანელების მოსპობით, განადგურებით. რამოდენიმე დღის განმავლობაში რაიონებიდან მოსული ორატორები რიხით აღიარებენ, რომ გახურებული შანთით აღმოფხვრეს მათ უბანში თუ სოფელში მოკალათებული მავნებლები, ტროცკისტ-ბუხარინელები, ჯაშუშები, დივერსანტები. მთელი ყრილობა გაჟღენთილია შურისძიებით, მისი ხელმძღვანელობა დამთვრალია დანთხეულ საკუთარ ძმათა სისხლით. ამ ყრილობაზე გამოტანილი რეზოლიუცია საუკეთესო ნიმუშად დარჩება ბერიას მიერ დარაზმულ, ახალი კადრების ფსიქოლოგიის დასაფასებლად. ის ჩატარებულ ხოცვა-ჟლეტის ჩინებული ექსტაზია, სისხლში ამოვლებული კალმით დაწერილი უმაღლეს ბატონობისადმი ერთგულების ფიცია.

ერის დიდი უმრავლესობა დღეს პირზე კლიტე დადებული ზიზღით შესცქერის მოსკოვის ბნელ საქმიანობას საქართველოში. მისთვის კომუნისტური პარტია ის დაწესებულებაა სადაც ადგილს ურიგებენ ყველა გამოქნილსა და გაიძვერას, მედროვესა და ცუღლუტს...

ქართველი ხალხისთვის კარგა ხანია აშკარაა რომ ამ გათახსირებულ პარტიის ბატონობა მას კარგს არას უქადის.

პ. სარ—მე.

## რას სწერენ კომუნისტებზე?

ბოლშევიკური რუსეთი დაავადებულია ერთი განუკურნებელი სენით, რომელიც აშკარად ატარებს მუნის თვისებებს. საკმარისია მის შინაგან ვითარებას გაეცნოს მისი უცხოელი მეგობარი, რომ მისგან ზიზღით და წყევლა-კრულვით პირი იბრუნოს. რამდენადაც დიდია ამ მეგობართა თაყვანისცემა «მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოსადმი», იმდენად ღრმაა ის სულიერი დრამა, რომლის თეატრად მათი იმედგაცრუებული ცნობიერება ხდება. ამ კათეგორიას ეკუთვნის სერბიელი კომუნისტი სილიგა, რომელმაც რუსეთში დაჰყო ათი წელი. ის იქ გაემგზავრა 1926 წელს. როგორც ყველა საქმის უცოდინარ ენტუზიასტს შეეფერება, პირველ ორ წელიწადს ის გაშმაგებით იცავდა გენერალურ ხაზს ყოველგვარ შემოტევისგან. ამ შემოტევათა საყოველთაო ხასიათმა იგი ბოლოს დააეჭვიანა ხაზის უცოდველობაში და ეზიარა ტროცკის ოპოზიციას, რამაც იგი პირდაპირი გზით მიიყვანა ციხე-გადასახლებამდე. სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, უეჭველია, ადგილობრივ პირობების გასაცნობი საშუალებანი ბლომად გააჩნდა და სწორედ ამ პირად დაკვირვებებზეა აგებული მისი შრომა «დიდი სიცრუის ქვეყანაში».

ცნობილია, რომ ქვეყანა სავსეა სიყალბით, ძალადობით და უსამართლობით, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა ამ მიმართულებით ყველა პრეცედენტს გადააჭარბა. ადგილობრივ ცხოვრების დაკვირვებიდან ავტორი დარწმუნებულა, რომ ამ ქვეყანაში აზრისა და მდგომარეობის გამომხატველ ცნებათა შინაარსი სრულიად შებრუნებულია. ის, რასაც ნამდვილად მონობა, ველურობა, უაზრობა და გახრწნილება ეწოდება, მონათლულია სამოთხედ, ცივილიზაციად, გონიერებად და უმაღლეს ზნეობრიობად. ამ ფაქტის განჭვრეტამ ავტორში დაამსხვრია ყველა ძველი კერპები ლენინ-ტროცკის მეთაურობით. სიცრუის, ჯაშუშობის, ამორალობის, ღალატის და მკვლელობის ნიადაგზე აშენებული პოლიტიკური წყობა არ შეიძლება მუშათა სოციალისტურ მიზნებს ემსახურებოდეს, რადგან ვერაგული საშუალებების და სათნო მიზნების შეთავსება ბუნებრივად შეუძლებელია.

საბჭოთა ცხოვრებას ქმნის და ასაზრდოებს ორი მიმდინარეობა: ერთი მხრივ, ბიუროკრატიის მიერ გაბატონებული სიცრუის და ყვლეფის კულტი, მეორე მხრით—მასების უხმო ზიზღი მისდამი და რეჟიმის დანგრევის მოლოდინი. რამდენად ძლიერია ეს ზიზღი, იმდენად უგულო და ულმობელია გაბატონებული ბიუროკრატიის თავდაცვითი ზომები მასების რისხვის მოლოდინში. ბიუროკრატია საბჭოთა საზოგადოების ერთად ერთი ფენაა, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუციამ ტკბილი, უზრუნველი ცხოვრების გზა გაუხსნა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ამ საზოგადოების დასაყრდენი კანონით ზღუდე-დაუდებელი და სამართლიანობის ელემენტარული ცნების გარეშე მყოფი ბიუროკრატიული სახელმწიფოა. შეიძლება სასიამოვნო იყოს ხალხიდან გამოსული რამოდენიმე ათასეული პირის ამაღლება, მაგრამ განა გაგონილა 200.000 ბიუროკრატის კეთილდღეობისათვის 160 მილიონი ადამიანის განწირვა და ისიც პროგრესის და ჰუმანიზმის სახელით?!

რუსეთში დარჩა ძველი რევოლიუციონური სიტყვიერება, მაგრამ ცხოვრება გაივსო რეაქციონური შინაარსით. იქაური საზოგადოება წარმოადგენს გაორებას თეორიასა და სინამდვილეს, ლოზუნგებსა და საქმიანობას შორის. ეს იწვევს კერძო ადამიანის ბუნების გაორებასაც. რუსი მუშა გულწრფელია კერძო ლაპარაკში და ზიზღით აგიწერს ხელისუფლების თარეშს და თავის უმწეო მდგომარეობას. იგივე მუშა კრებებზე სტოიკურად თავს იჭერს და ხელისუფალთა რისხვის ასაცილებლად ოფიციალურ «ოპტიმიზმის» და «ენტუზიაზმის» ქერქში ხელოვნურად ეხვევა. იქაური ადამიანი ლაპარაკობს ორ ენაზე: ოფიციალურზე, გეპეუს შიშით და არაოფიციალურზე, სიმართლის აღიარების და განუსაზღვრელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ადამიანური სტიქიის წაღებით. პარტიის დამპალ ღეროზე სოკოსავით იზრდებიან ოპოზიციონური ჯგუფები, მაგრამ არც ერთ მათგანს პრინციპიალური საფუძველი და მოქმედების გარკვეული გეგმა არ გააჩნია. არც ერთ მათგანს არ მიუმართავს მუშათა ფენებისათვის გაბატონებული ბიუროკრატიის წინააღმდეგ. მათი არსებობის მაჩვენებელი ნიშანი მხოლოდ გეპეუს ამუშავებაა. და როდესაც ოპოზიცია რისხვის მოახლოვებას იგრძნობს, ისიც ზიზღის მომგვრელი გოდებით და მონანიებით ხელს იღებს თავის უდღეურ პლათფორმაზე. სექტების ბრძოლაში მუშები განზე დგანან. დავას აპარატი სწყვეტს. რუსი მუშა, დაწყებული ლენინის დროიდან, საექსპლოატაციო მანქანაა, საარჩევნო და საპროპაგანდო ავტომატია. მიასნიკოვის «მუშათა ოპოზიციის» წევრი ტიუნოვი ვერხნე-ურალსკის ციხის გაზეთში სწერდა: «ტროცკიზმი მსხვილ მოხელეთა ოპოზიციაა. ბიუროკრატთა თვითნებობის მიმართ ტროცკიზმი წარმოადგენს ისეთსავე დამპალ ოპოზიციას, როგორიც იყო მილიუკოვის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ»-ო.

საბჭოთა საზოგადოების შინაგან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა სამი სისტემა: სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც ბოლშევიკური რეჟიმის შინაარსი, კერძო კაპიტალიზმი, როგორც ობიექტიური რეალობა და სოციალიზმი, როგორც ბიუროკრატიული ტირანიის მისაჩქმალავი საპროპაგანდო ფორმა. სამ სისტემას შეესაბამებოდა სამი მთავარი კლასი: ბიუროკრატია, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. გამარჯვება დარჩა პირველს, განადგურდენ დანარჩენები.

ხუთწლედის პერიოდი განუწყვეტელი ბრძოლის და სისხლიანი რეპრესიების პერიოდია. 1929 წლის კოლექტივიზაციამ მიიღო დაკვრითი ხასიათი, რა-

საც გლეხობამ «ხორბლის გაფიცვით» უპასუხა და ბრძოლის ინიციატივა აიღო. 1928-1933 წ. ხასიათდებიან ბიუროკრატიასა და გლეხობას შორის გაჩაღებული გრანდიოზული ბრძოლით. ამას ზედ დაერთო ბრძოლა ბიუროკრატიასა და პროლეტარიატის, ბიუროკრატ-კომუნისტთა და უპარტიო სპეციალისტთა და ბოლოს, კომუნისტთრი ოლიგარხიის სხვა და სხვა ფრაქციათა შორის. ერთი სიტყვით, ეს იყო ბრძოლა ყველასი ყველას წინაალმდეგ. ამდენად, ხუთწლიანი გეგმა, რა სახითაც ის განხორციელდა, წარმოადგენს თანამედროვე რუსეთში არსებულ ყველა სოციალურ ჯგუფთა შორის საშინელი კონფლიქტის ანარეკლს. გეგმის ეპოქა საბჭოთა ბიუროკრატიის ეპოპეიაა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ბრძოლიდან გამოვიდა თავიდან ფეხებამდე წუმპეში ამოსვრილი და სისხლით შეღებილი. გეგმის ეკონომიური რევოლიუცია ხდებოდა ხალხის წინაალმდეგ, მათ სასარგებლოდ, ვინც მას ხელმძღვანელობდა. საერთო მღელვარების დასაცხრომად გეპეუ მსხვერპლს ირჩევდა ბრძანების აღმასრულებელთა რიგებიდან. მოხელეთა უმაღლესი ბფენების კრიმინალურ ნაბიჯებში სიცოცხლით პასუხს აგებდა მათი ადგილობრივი გამტარებელი. დამშეული ხალხი ითხოვდა ლუკმა პურს, გეპეუ მას დახვრეტილთა გასისხლიანებული გვამებით უმასპინძლდებოდა. წინაალმდეგობის გაწევა გლეხებს ავტომატიურად ათავსებდა კულაკთა კათეგორიაში და დაუნდობელი რეპრესიების მსხვერპლი ხდებოდენ. გეპეუ ხვრეტდა და ასახლებდა მთელ სოფლებს განუკითხავად, შეუბრალებლად. ისტორიის არც ერთ პერიოდში, არც ერთ ხალხს თავზე ასეთი ღვთის წყრომა არ დასტეხია. რუს მოსახლეობის სიმწრის მოთქმაგოდება ზეცას წვდებოდა. მილიციელთა და გეპეუს ჯარისკაცთა და აგენტთა რაზმები ალყას არტყამდენ წინასწარ განწირულ სოფლებს და რამდენიმე საათის შემდეგ გადასასახლებლად მიჰყავდათ 50—200 მოსახლე. უმწეოდ დარჩენილი განადგურებული გლეხობა ბოლოს იძულებული იყო თავის შავ ბედს შერიგებოდა და კოლხოზებში მოეკალათა. ხელისუფლებამ მას შრომის გაადვილება, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები დაჰპირდა. მანქანების მოლოდინი გლეხებში ქმნიდა გრძნობას, რომელიც ძალიან ენათესავება წითელ კანიანთა რეაქციას ქრისტეფორე კოლომბის გემებისა და ზარბაზნების მიმართ. კოლექტივიზაციის შედეგად მივიღეთ 300.000 კოლხოზი და 10 მილიონი გლეხის ოჯახი განადგურებული და გადასახლებული. მთელი დღევანდელი რუსეთი ვეებერთელა ციხე და ამ ქვეყნად განხორციელებული ჯოჯოხეთია. წარმოიდგინეთ თვალუწვდენი ტერიტორია სიგრძით 10.000 კილომეტრი, განით—500-2000 კილ. გაწოლილი სოლოვკიდან კამჩატკამდე, ბალტიის და თეთრი ზღვის არხიდან წყნარ ოკეანეს ნაპირებამდე. მთელი ეს ტერიტორია ისე, როგორც ცენტრალური აზია, მოფენილია საკონცენტრაციო ბანაკებით და გადასახლებულთა ცენტრებით. ციმბირის ქუჩებში, ბიუროებში, ქარხნებში და სოვხოზებში ორ-სამ ადამიანზე ერთი უეჭველად გადასახლებულია. ჩრდილოეთის კოლონიზაცია, უეჭველია, დიდი საქვეყნო წყობის საქმეა, მაგრამ თავის მეთოდებით ის ძველი კოლონიზაციის ბარბაროსობას აღემატება. მისი საფუძველი უმთავრესად მონური შრომაა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მუშათა კლასის მესამედი მონებისაგან შესდგება, და ეს მონები თავიანთი დამამცირებელი ხელფასით ხელს უწყობენ თეორიულად თავისუფალი მუშების ხელფასის კატასტროფიულ დონეზე შეჩერებას. მუშის დღევანდელი ხელფასი 50 პროცენტით დაბალია ომის წინა დროსთან შედარებით. ეს ხელს არ უშლიდა სტალინს პარტიის მე-16 ყრილობაზე ურცხვად აღენიშნა ხელფასის 60 პროცენტით მომატება იმავე დროსთან შედარებით, მაგრამ ეს გასაკვირი როდია. სტალინი აქ გადაჭარბებულ სითავმდაბლეს იჩენდა რამდენადაც ის სინამდვილეს მხოლოდ 110 პროცენტით ალამაზებდა.

ასეთივე სიყალბის და მუხანათობის ნიადაგზეა აგებული კომინტერნის მთელი მუშაობაც. რა გულუბრყვილონი არიან ისინი, ვინც მას მსოფლიო რევოლიუციის მომზადება-გაღვივებაში ბრალს სდებენ! ნამდვილად კი, არც ერთ პარტიას და მთავრობას იმდენად არ შეუწყვია ხელი მსოფლიო მუშათა მოძრაობის დეკადანსისათვის, რამდენადაც საბჭოთა მთავრობის და კომინტერნის ინტრიგებმა. მან მოსპო აზროვნების უფლება, დააჩლუნგა გონება, გააღვივა შუღლი და მტრობა, გაამარტოვა სხვა და სხვა სექციები და, შინა-უთანხმოებით დაუძლურებულნი, ხელში ჩაუგდო მტრებს, ხოლო ვისაც მისწვდა ციხეში ჩააგდო და ფიზიკურად და სულიერად გაანიავა. გეპეუს რისხვას ვერ ასცდენ რუსეთში მყოფი სერბიელი კომუნისტები, რომელთაც დამოუკიდებელი აზროვნების პრეტენზია აღმოაჩნდათ; ბულგარელები, რომლებიც 1929 წელში ცდილობდენ არალეგალური საშუალებებით რუსეთის მიტოვებას; უნგრელები, რუმინელები, გერმანელები და სხ. კომინტერნი რუსეთის კომპარტიის ფილიალია. მისი მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ქვეყნის პარტიებს ხელი შეუშალოს ურთიერთ დაახლოებაში, რომ ისინი შეერთებული ძალით არ აუმხედრდენ იქ გამეფებულ რუსულ პოლიტიკას. ყველა დადგენილება, რეზოლიუცია გამოდის რუსეთიდან და მიიღება მისი ინტერესების მიხედვით. კომინტერნის პროგრამა გამოიმუშავა მისმა მე-6 კონგრესმა. არც კონგრესის წინ, არც მის სხდომებზე მის შესახებ მსჯელობა არ გამართულა. ის მიღებულ იქნა მექანიკურად, როგორც ყოველი რეზოლიუცია რუსეთში.

კლასიური დაყოფის სიმახინჯე იმდენად უფრო რელიეფურად მოსჩანს საბჭოთა საზოგადოებრიობის ფონზე, რამდენადაც მისი ცხოვრების დონე დაბალია და ჩამორჩენილი. ამ საზოგადოების ღმერთი უგულო ინტელიგენციაა, რომლის წრე შემოხაზულია, განსაკუთრებული და განშორებული მუშათა მასებიდან. ამ წრეში საპატიო ადგილი უჭირავს ძველ არისტოკრატიას, რომელმაც შესანიშნავი შეგუების უნარი გამოიჩინა, ბოლშევიკურ ბიუროკრატიის რეალში მოქცევით ფერი იცვალა და ახალი

საშუალებებით ანადგურებს მის ისტორიულად მოწინააღმდეგე მშრომელ ხალხს. საწარმოვო დამოკიდებულების გარდა ამ ორ კლასს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი. პირველი ბრძანებლობს, მეორე შრომობს. მათ არ აერთებს არც საერთო იდეალი, არც რევოლიუციის სიყვარული. პირველი რეჟიმის საფუძველია, მეორე მის დანგრევას ლამობს. ინტელიგენციამ რევოლიუცია თავის ამბიციების განაღდებაში გამოიყენა და მაღალი იდეალები საზიზღარ მატერიაზე გადაახურდავა. ადამიანის სინიდისი ვერ უძლებს საბჭოთა ინტელიგენციის გარყვნილების მდარე სურათს. უგულობა, სნობიზმი, ეგოიზმი, არივიზმი, ანგარება, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, დეკადანსის პერიოდში მყოფი ბურჟუაზიის ყველა საზიზღროებანი დღევანდელი რუსეთის ოფიციალური მორალის მთავარ თვისებებად გვევლინებიან. მშრომელი ხალხი ბოლშევიკური რეაქციის უღელს მწვავედ განიცდის და ახალ რევოლიუციას მოუთმენლად ელოდება. ხოლო ამისათვის აუცილებელი ორგანიზაციული სიძლიერე არ გააჩნია და გეპეუს აგენტების, ჯაშუშების და ჯალათების მსხვერპლი ხდება. ამდენად საბჭოთა ციხეში ჯდომა რევოლიუციონერის წმინდა მოვალეობაა. ეს აუცილებელიცაა საბჭოთა ცხოვრების ნამდვილი დაკვირვებისათვის. ციხე-კალეიდოსკოპია, სადაც პოლიციური ხერხებით მიმალული სინამდვილე მოსჩანს მთელი თავისი საშინელებით, სიღატაკით, ადამიანთა მხეცური ექსპლოატაციით და სისხლით. «ვინც არ ყოფილა რუსულ ციხეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში და გადასახლებაში, სადაც ხუთ მილიონზე მეტი კატორღელი იტანჯება; ვინც არ იცნობს ისტორიაში უდიდეს კატორღას, სადაც ადამიანები ბუზებივით კვდებიან ან მათ ძაღლივით ჰკლავენ და, სადაც მათ მონებივით ამუშავებენ, იმას არ შეიძლება რამე წარმოდგენა ჰქონდეს საბჭოთა რუსეთზე და სტალინის «უკლასო საზოგადოებაზე»—, ამბობს სილიგა.

1928-34 წლებში გადასახლებულ იქნა მილიონობით მუშები, გლეხები და წვრილი მესაკუთრეები. 1932 წლის გეპეუს სტატისტიკის მიხედვით 5 უკანასკნელი წლის განმავლობაში დატუსაღებულთა რიცხვი აღწევდა 37 მილიონს.

1929-34 წლებში ჩრდილოეთში გადასახლებულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 1 თუ 2 წელიწადს. ციხე ანადგურებს უმთავრესად მუშებს. ბიუროკრატიული კლასის დაპატიმრებული წევრები ციხეშიაც განცხრომაში ატარებენ დროს. უხტ-პეჩერსკის საკ. ბანაკში საბოტაჟისათვის მოთავსებული ინჟენრები, ექიმები, ეკონომისტები, აგრონომები ცხოვრობდენ კომფორტაბელურ ვილებში, ხელისუფლების წარმომადგენელთა გვერდით და საგანგებოდ იკვებებიან. მუშები, გლეხები და სისხლის სამართლის დამნაშავენი ყრიან, როგორც მხეცები, უმზგავსო მიწურებში ნახევრად მშიერები და ბუზებივით იხოცებიან აუტანელი შრომით, ციებით, ტიფით და სხვა ავადმყოფობით. 1932 წლის შიმშილობის დროს ციმბირის ქალაქებში პოლიცია დილაობით აგროებდა ქუჩებში გარდაცვლილთა უთვალავ გვამებს. ამავე წელს ირკუტსკის ციხეში დღეში 40 ტუსაღი კვდებოდა და ხშირი იყო კანიბალიზმის შემთხვევები. დამშეული ტუსაღები გულმოდგინედ შეექცეოდენ თავიანთ გარდაცვლილი მეგობრების გვამებს. მდინარე კოლიმას არხის გაღრმავებაზე (წყნარი და ყინულიანი ოკეანეს შესაერთებლად) მუშაობდენ გადასახლებული გლეხები, რიცხვით 600 კაცი. ორი ზამთრის შემდეგ მათში მხოლოდ ოცი ღა დარჩა ცოცხალი, დანარჩენები დაიხოცნენ შიმშილით, სიცივით, ავადმყოფობით და მხეცური მოპყრობით. მეორე სექტორში ერთი ზამთრის განმავლობაში თითქმის ყველა გადასახლებულები დაიხოცნენ უჭმელობით. მივლინებულ თეორიულად თავისუფალ მუშებს კი სისტემატიურად ართმევენ შრომის ხელფასს. ხელისუფლება მათ ზურგზე ეწევა ეკონომიას. ასეთია «მუშათა და გლეხთა გამაბედნიერებელი» ბოლშევიკური სახელმწიფოს ნამდვილი სახე. შედარებით თავისუფლება სუფევდა ვერხნე-ურალსკის ციხეში, სადაც ტუსაღებს შეეძლოთ საკნებში თავის მოყრა და აზრთა გაზიარება. ამრიგად, მთელი რუსეთის თვალუწვდენ სივრცეზე არსებობს თავისუფლების ორი თუ სამი პატარა კუნძული, სადაც ადამიანს უფლება აქვს იაზროვნოს და ილაპარაკოს თავისუფლად და ეს კუნძული... ციხეა.

ამ ჯოჯოხეთურ პირობების გამოსასწორებლად ბოლშევიკური ბიუროკრატიის წრიდან გამოსულ ოპოზიციაზე იმედის დამყარება ფუჭი და მავნე ოცნებაა. ტუსაღების უმრავლესობა ოპოზიციიდან გულმოდგინედ ეძებდა შერიგების გზებს. ისინი ხაზს უსვამდენ უმნიშვნელო შესწორებების აუცილებლობას ცენტრალურ კომიტეტის პროგრამა-საქმიანობაში. ისინი თავს არ სთვლიდენ რომელიმე პოლიტიკური იდეის ჩემპიონად და ხელისუფლების მტრად. წინააღმდეგ, ეს ხალხი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ როგორ დაბრუნებოდა არსებულ საზოგადოებას, შეეძინა ქონება და დაემსახურებია ხელისუფალთა წყალობა. მათზე იმედის დამყარება შეუძლებელია და ბ-ნ სილიგასაც, ეტყობა, სათანადო დასკვნისთვის მიუგნია, მაგრამ ბოლშევიკური კრეტინიზმის ბრჭყალებიდან თავი სავსებით ვერ დაუღწევია. ამას გვიჩვენებს მის მიერ ვერხნე-ურალსკის ციხეში მყოფ ქართველ სოციალდემოკრატების შეფასება. ისინი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატები არიან; ნამდვილი სოც.-დემოკრატი მათში ძალიან ცოტაა—ამბობს იგი. რატომ ვერ დაიმსახურეს ქართველ სოც.-დემოკრატებმა ჩვენი ავტორის წყალობა? ეჭვს გარეშეა, ისინი გაურბოდენ მასთან და მის ოპოზიციონურ კოლეგებთან კავშირს. გარდა მძიმე პასუხისმგებლობისა, ამ უკანასკნელთ რომ საბჭოთა სისტემის დამკვიდრებასა და მშრომელთა დამონებაში მიუძღვით, ისინი ოპოზიციაშიც მუდამ კაპიტულიაციაზე ოცნებობდენ და სტალინის რეჟიმს, უმნიშვნელო შესწორებების გამოკლებით, კვერს უკრავდენ და იზიარებდენ ეს წყალწაღებული ხალხი, თვით ავტორის გადმოცემით, მუდამ იმის ცდაში იყვენ თუ როგორ დაემსახურებიათ მშრომელთა და ერთა სისხლის მსმელი რეაქციონური ბიურო-

კრატიის წყალობა მაშინ, როდესაც ქართველები მის წინაალმდეგ შეურიგებელი ბრძოლის მძიმე ჯვარს საზღაპრო გამძლეობით ეზიდებიან. აი, ეს გამძლეობა და შეურიგებლობაა, რომ ავტორს მათთვის ვერ უპატიებია. ალბათ ამით აიხსნება ის სასაცილო პარადოქსი, რომ დღევანდლამდე სტალინ-ტროცკის რეაქციის წუმპეში მცურავი ავტორი ქართველ სოციალდემოკრატიის უმწიკვლო გმირებს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებად ნათლავს!

ვერხნე-ურალსკის იზოლიატორი ბლომად ყოფილა დასახლებული ქართველი კომუნისტებითაც, რომლებიც ავტორს უამბობდენ გულშემზარავ ეპიზოდებს 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის რეპრესიებიდან. ჩვენ პირველად ვგებულობთ, რომ ამ სისხლის მორევის მოწყობაში სტალინ-ორჯონიკიძესან ერთად მონაწილეობა მიუღია ასი პროცენტით სულით ავადმყოფს და დეგენერატ ბელა კუნს. ცხადია, კაცი, რომელმაც რამოდენიმე კვირის განმავლობაში მოახერხა უნგრეთის ხალხის ფიზიკურად განადგურება, არ დაინდობდა მისთვის უცხო, თავისუფლების მოყვარულ ქართველ ერს. ცხადია, ქართველ დედების მოთქმა-გოდება ამ ვიგინდარა ბოროტმოქმედის გულს ვერ გაალბობდა. დღემდის ჩვენ არ ვიცოდით თუ ამ ავანტიურისტის შუბლი ქართველ ვაჟკაცთა წმიდა სისხლის შხეფებით იყო შეპკურებული. სჩანს, სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძის ბანდის ბოროტმოქმედებათაგან ჯერ ბევრი რამ უცნობია.

რუსეთის რევოლიუცია, დიდი ხანია, დაბოლოვდა სისხლიანი ტერმიდორით, რომელიც იმდენად რეგრესიულია და რეაქციონური, რამდენად უბადრუკია და უგულო მისი გამტარებელი. საერთო უმწეობამ, უუფლებობამ და ამორალობამ მუშათა კლასში დაამკვიდრა ურთიერთ მტრობა და თავის თავის უნდობლობა. ის მოუთმენლად ელოდება რეჟიმის ლიკვიდაციას და რადგან საამისო ორგანიზაციული რესურსები არ გააჩნია, იმედის თვალით შეჰყურებს ომს, როგორც ხსნის უებარ საშუალებას და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო მოკავშირეს. ასეთია სილიგას შრომის შინაარსი.

ვალ.

## ქართველი სოც.-დემ. და ბოლშევიზმი

საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავიდანვე სწორად შეაფასა ახლად წარმოშობილი ბოლშევიზმი და ნათელყო მისი ნამდვილი ბუნება. მან ის იმ თავითვე ანტიმარქსისტულ და ანტიდემოკრატიულ მოვლენად აღიარა.

ბოლშევიკური იდეოლოგიის ასეთმა შეფასებამ, ჩვენს პარტიას საშვალება მისცა, სააშკარაოზე გამოეტანა მისი ნამდვილი ზრახვები და ბლანკისტურდიქტატორულ ტენდენციას დაუპირდაპირა საღი სოც.-დემოკრატიული მოძღვრება. ამ ნიადაგზე გაჩაღებული იდეიური ბრძოლა ჩვენი პარტიის გამარჯვებით გათავდა. ბოლშევიზმი პირველ შეტაკებასთანვე სამუდამოთ დამარცხდა და საქართველოს ნიადაგიდან გაიდევნა. მან ჩვენში დასაყრდნობი ვერ ნახა და ფეხი ვერ მოიკიდა.

სამაგიეროთ ბოლშევიზმა რუსეთში შეძლო აღორძინება იქაური დემოკრატიის სისუსტის გამო, განსაკუთრებით თებვრვლის რევოლიუციის შემდეგ. დროებითი მთავრობის უმოქმედობით მან მოხერხებულათ ისარგებლა და ვებერთელა რუსეთის ბატონ-პატრონი გახდა. რუსეთის ხალხმა საშინელ ტირანიაში ამოყო თავი, თვით რუსეთში კი არნახული ანარქია გამეფდა.

სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ დარაზმული ქართველი ხალხი დროზე გაშორდა რუსეთის ანარქიას და მან 26 მაისის აქტით ერის სუვერენობა გამოაცხადა.

ბოლშევიზმის წინაალმდეგ ჩატარებულ იდეიურ ბრძოლას, მისი ავლა დიდების ცოდნას, უდიდესი მნიშვნელობა ქონდა ქართველი ერის რუსეთიდან გამოყოფის და დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში. თუ საქართველო ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებაში არ მოყვა, ეს უდაოთ ქართველი სოც.-დემოკრატიის დამსახურებაა. ამ ფაქტის უარყოფა არავის შეუძლია.

სოც.-დემოკრატიის მუშაობით, პოლიტიკურად გაწვრთნილი და ორგანიზაციულად დარაზმული ქართველი ხალხი ბოლშევიზმის დემაგოგიას არ აყვა, რადგან მან კარგათ იცოდა მისი ნამდვილი ბუნება და ზრახვები. ქართველი ერი რომ მაშინ რუსეთის ანარქიაში მომწყვდეულიყო, ის ვერ იგემებდა თავისუფლების სიდიადეს. ის სამი წლის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ის ნაციონალური ენტუზიაზმი, რომელიც ამ ეპოქას ახასიათებს, ჩვენი მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე საფუძველია. აი სწორეთ მაშინ თავისუფალი ერი შედგა გადაჭრით და გაბედულათ ახალ გზაზე, დაამკვიდრა დემოკრატიული რეჟიმი და შესაფერი სოციალური წყობილება.

ეს ჩინებულად აწყობილი საქმე, რომელზედაც უნდა აგებულიყო ჩვენი ერის ახალი ცხოვრება, შეწყვიტა უცხო ძალამ. რუსული იმპერიალიზმი, ბოლშევიზმის სახით, კვლავ მოევლინა საქართველოს და მოხდა ქართველი სოც.-დემოკრატიის მასთან მკაცრი დატაკება. ეს უსწორო ბრძოლა დღესაც გრძელდება. იდეიურ ფრონტზე დამარცხებული ბოლშევიზმი, ფიზიკურათ იმარჯვებს ჩვენზე მაგრამ მან ვერ შესძლო ქართველი ხალხის დამონება. თუ ის ფიზიკურათ დამარცხდა, მისი სულიერი სიმტკიცე ვერ გასტეხა საოკუპაციო ხელისუფლებამ; უსწორო ბრძოლაში ჩაბმული და გაერთიანებული ქართველი ერი მთელი თავისი ენერგიით ელტვის დაკარგული თავისუფლების აღდგენას.

საბჭოთა რუსეთის აზვირთებულმა ტალღამ ჩვენი ქვეყანა კიდევ მოაქცია რუსეთის საპყრობილეში. სოც.-დემოკრატიამ ერის გადასარჩენათ ყვე-

ლა ზომები მიიღო, მაგრამ განმარტოებული საქართველო ბრძოლის ველზე დაეცა. ერთსულოვნათ ამოძრავებული ქართველი ერი სძლია ფიზიკურათ მტრის უპირატესობამ. ამას ხელი შეუწყო ოსმალეთის პოლიტიკამ, რომელიც საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებას ელტვოდა. სამწუხაროთ რუსეთის ამ ვერაგულ აქტს მაშინდელი ევროპა გულგრილათ შეხვდა. სიშორის გამო ჩვენ ვერავითარი რეალური დახმარება ვერ მივიღეთ. და ეს იმ დროს, როცა იგივე ევროპამ იხსნა პოლონეთი და ლიმიტროფეფების სახელმწიფოები ჩვენი ბედიდან. უდაოა მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ევროპის ინტერესებსაც შეადგენდა. ამით მათ თავისუფლება შეინარჩუნეს.

აუცილებელი იყო ჩვენი საკითხით ევროპის დაინტერესება. აქედან დაწყებული ბოლშევიზმთან ბრძოლის ახალი პერიოდი იწყება. ამ ხანას ადგილობრივ წარმოებულ ბრძოლას გარდა ახასიათებს მისი საერთაშორისო ასპარეზზე გადმოტანა. წინეთ კი ამ ბრძოლას ქონდა უფრო ადგილობრივი ხასიათი.

პარტიის უცხოეთის წარმომადგენლობა ეწევა პროპაგანდას სხვადასხვა საშვალებებით ჩვენი ერის სასარგებლოთ და ცდილობს სოციალისტურ და დემოკრატიულ წრეებში ჩვენს საქმეს მეგობრები და გულშემატკივარნი შემატოს.

ამ გზით ევროპის დემოკრატიული თუ სოციალისტური წრეები ჩვენგან ეცნობიან ბოლშევიზმის ნამდვილ სახეს. ჩვენმა პარტიამ, მისი მეთაურის ნ. ჟორდანიას მადლიანი კალმით, საქვეყნოთ დაამტკიცა, რომ ბოლშევიზმი არის საშინელი სოციალური და პოლიტიკური დესპოტია და მას არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ სოციალიზმთან. მან ნათელყო, რომ ამ დესპოტიის აღმოცენება შესაძლებელი იყო მხოლოთ რუსულ ნიადაგზე და მისი საფუძველია ძველი ველიკორუსული ურთიერთობა. ამიტომაც მან ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი არარუს ერებში.

ამ სინამდვილის მიწოდება, ევროპის საზოგადოებრივი აზრისათვის არც ისე ადვილი საქმე იყო. ამას ხელს უწყობდა რუსების სოციალდემოკრატიის დაბნეულობა და მათ მიერ ჩვენი საწინაალმდეგო პოლიტიკის წარმოება. თანაც ომისაგან აფორიაქებული ევროპის დემოკრატიული წრეები განიცდიდენ პოლიტიკურ კრიზისს და ბოლშევიზანურ გავლენას. საბჭოთა დემაგოგიას ევროპაშიაც დაურჩა გასავალი, განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის წრეებში. ეს იდეიური მერყეობა გადავიდა წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზეც. მართალია ისინი ეწინაალმდეგებოდენ საბჭოების პოლიტიკურ რეაქციას, მაგრამ ემხრობიან მის სოციალისტურ დემაგოგიას და მით შეცდომაში შედიან. ამ გარემოებამ ერთობ დააზიანა ევროპის მუშათა კლასი და სოციალისტური მოძრაობა.

ამ დაბრკოლებათა დაძლევა დიდ ენერგიას ითხოვდა. ბევრი ბრძოლები გადაიტანა ჩვენი პარტიის უცხოეთის წარმომადგენლობამ ამ მიმართულებით სოც.-ინტერნაციონალში თუ სხვაგან. და თუ დღეს ევროპის საზოგადოებრივი აზრი და სოციალისტური წრეები, თანდითან თავისუფლდებიან ამ მავნე ბოლშევიზანური გავლენისაგან და მათ აღლო აუღეს მის ნამდვილ ბუნებას, ამაში ჩვენი პარტიის მუშაობას დიდი წილი უდევს. მან გარეთ ეროვნულ საქმის სასარგებლოთ უდიდესი მუშაობა ჩაატარა.

საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის დიაგნოზი ცხოვრებამ გაამართლა. ბოლშევიზმის სრული გაკოტრება დღეს უდაო ფაქტია. ის ბუნებრივათ ჩაიკეტა ძველ რუსულ უტოპიურ სოციალიზმის კალაპოტში და სულს ლაფავს მის ნაციონალურ ურთიერთობაში. ამ სოციალურ დესპოტიას ამშვენებს სტალინის პიროვნული დიქტატურა. მან უკვე ჩაყლაპა ოქტომბრის ქურუმებიც და ვინ იცის კიდევ რით გააკვირვებს საზოგადოებას, თუ მალე ეს დესპოტიური ხუხულა არ დაინგრა.

საბჭოთა რუსეთს დღეს არავითარი ფასი არ აქვს ევროპის თვალში. გუშინდელი მეგობრები მას ეთიშებიან და ზურგს აქცევენ. ის დღეს მოძულებული ლეშია და მასზე იმედს არავინ ამყარებს. ამ საქმეში ჩვენმა პარტიამ თავისი წვლილი შეიტანა. ბოლშევიზმის წინაალმდეგ ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე იგივე ქართული საქმის გაკეთებაა. ის ჩვენი ერის განთავისუფლების საქმეს ემსახურება.

შ. ბ—ლი.

## მაღაროს მუშათა შორის

საფრანგეთის მაღაროების მუშათა ფედერაციის ბიურომ მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს მეპატრონეებთან დასდო ხელშეკრულება, რომლის მნიშვნელობა დიდია და მრავალმხრივი. ის ბოლოს უღებს ამომღებ ინდუსტრიაში არსებულ დაჭიმულ მდგომარეობას, რამდენადაც ნორმალურ საწარმოვო თანამშრომლობის კალაპოტში აყენებს მუშათა და მეპატრონეთა ურთიერთ დამოკიდებულებას. ის აკანონებს ხელფასის 6 პროცენტით ზრდას და წელიწადში 85 ზედმეტი სამუშაო საათის შემოღებას

ცნობილია, რომ საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი წლიურად აღწევს 20 მილიარდს. ეს დეფიციტი იმდენად გაუგებარი და არანორმალურია, რამდენად გარედან შემოტანილ საქონელში დიდი ადგილი უჭირავს ქვანახშირს, რკინას და სხვა ნედლ მასალას, რომლებითაც საზღაპროდ მდიდარია საფრანგეთის ნიადაგი. საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრის გამოუყენებლობა აუტანელ ბარგად აწვება ეროვნულ წარმოებას. დეფიციტანი სავაჭრო ბალანსი ვალიუტის გაზიდვით, ფულის ნიადაგის შესუსტებით და ოქროს რეზერვის შემცირებით საფრთხეში აგდებს ქვეყნის ფინანსებს და ეროვნული თავდაცვის საქმეს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზედმეტი საათების წყალობით მაღაროები დაამზადებენ ზედმეტ 2 მილიონ ტონ ქვანახშირს, რაც გაანთავისუფლებს ნახევარ მილიარდ ფრანკს და ამდენადვე შეამცირებს სავაჭრო დეფიციტს. ამდენად, ხელშეკრულება მიზანშეწონილი და გონიერია როგორც სოციალური და საწარმოვო, ისე ფინანსიური და ეროვნული თავდაცვის თვალ-

საზრისით. იგებენ მუშები ხელფასის 6 პროცენტით გაზრდით, იგებს წარმოება პროდუქციის ინტენსიფიკაციით და იგებს ქვეყანა სიმდიდრის დაგროვებით და ნაციონალური დევიზის დაცვის გაადვილებით. ერთი სიტყვით, იგებს ყველა და ყველაფერი, გარდა კომუნისტური დემაგოგიის და პროვოკაციისა, რომელმაც არ დააყოვნა თავისი ქუჩური სიტყვიერების ამუშავება. კომუნისტებმა შეთანხმება ბურჟუაზიის გამარჯვებათ გამოაცხადეს და მათთვის ჩვეულებრივი მუხანათობით მაღაროელთა ფედერაციის პასუხისმგებელ მუშაკებს მოღალატისა და გამყიდველის ეტიკეტები მიაკერეს. მათგან ასეთი საქციელი ყველამ იცის, არ ახალია, ძველია, მაგრამ პროფ. მოძრაობის გაერთიანების შემდეგ პირველადაა, რომ მათ ნიღაბი ასე აშკარად აიხადეს· ეს კუზიანი ხალხი დიდი ხანია ვერ შერიგებია მაღაროელთა პროფ. მოძრაობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა წმინდა სინდიკალურ და ანტიკომუნისტურ გეზს, რომელიც მდგომარეობს პროფესიონალური კავშირების სუვერენობის და დამოუკიდებლობის დაცვაში გარეშე პოლიტიკური და პარტიული ინტერვენციიდან. მიუხედავად გაერთიანების ხარტიისა, სინდიკატის წევრებს საკორპორაციო მუშაობაში გარედან უცხო პარტიული ხაზის შემოტანას რომ სასტიკად უკრძალავს, კომუნისტები დაუღალავი გამთიშველი მუშაობით ცდილობენ მრავალ მილიონიანი პროფ. კავშირები თავიანთ პარტიულ გეგმებს დაუმორჩილონ და მოსკოვის ჰანგებზე აამღერონ. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევი გზები ია-ვარდით მოფენილი როდია. მაღაროელთა პროფ. ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ ისეთი გამოცდილი მუშაკები, როგორიც არიან პიერ ვინი, კლებერ ლეგეი, ბლარ, დიუგე და სხ., ცნობილნი თავიანთი ანტიკომუნისტური კონცეპციებით და სინდიკატების დამოუკიდებლობის უკომპრომისო გუშაგნი. ამათი სახელის ტალახში ამოსვრა არც ისე ადვილი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა. ცილისწამების და მუშათა გამთიშველი კამპანიით კომუნისტებმა თავიანთი მახინჯი სახე გამოაჩინეს. და დიდი უტაქტობაც ჩაიდინეს. დღევანდლამდი კულისებში წარმოებული ინტრიგები მზის სინათლეზე გამოჩნდენ და კომუნისტური დემაგოგიის საშიშროება საყოველთაოდ საცნობი გახდა მუშათა პროფესიონალურ მოძრაობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზედმეტი საათების საკითხი საფრანგეთის შრომის კონფედერაციამ ადგილობრივ პირობების საკითხად გამოაცხადა. მისი პრინციპი დაშვებულია წარმოების იმ დარგებში, რომლებიც ნორმალურად მუშაობენ. მაღაროელთა ფედერალური ბიუროც ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა, როცა ხელშეკრულებას ხელს აწერდა და მას არ შეეძლო კომუნისტური პარტიის მორიგი პროვოკაცია უპასუხოდ დაეტოვებია. ამის გამო მოწვეულმა მაღაროელთა ნაციონალურმა საბჭომ ერთხმად გამოუცხადა თანაგრძნობა თავის ბიუროს, დაჰგმო კომუნისტური მანიოვრები და უკანასკნელად გააფრთხილა ისინი, რომ მომავალში ფედერაცია სტატუტით გათვალისწინებულ ყველა ზომებს მიმართავს პროფესიონალურ წყლის ამღვრევთა წინაალმდეგ. რეზოლიუცია აფრთხილებს მათ, რომ «ნაციონალური საბჭო საკმაოდ შეიარაღებულია იმისათვის, რომ დაიცვას საერთო კანონი და სინდიკალიზმის მიერ თავისუფლად გამომუშავებული წესები დარღვევისაგან; დარღვევისაგან, რაც ნიშნავს მუშათა მთლიანობის ლახვარის ჩაცემას, მის უსაშინელეს მტერთა სასარგებლოდ». გაფრთხილება ნათელია და ტონი უკომპრომისო. სინდიკატებს ჩვეულებად აქვთ თავიანთი დადგენილებები მიაწოდონ დასაბეჭდათ ყველა მეგობრულად განწყობილ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა შორის შედიოდა კომუნ. გაზეთი «ჰუმანიტე» ·ც. მაღაროელთა ნაციონალურმა საბჭომ ამ შემთხვევის გამო, პროტესტის ნიშნათ, «ჰუმანიტე» გამოტოვა და მით დაამტკიცა, რომ ის სრულიად არ იყო დანაშაულის პატიების გუნებგანწყობილებაზე. ეს სილა იმდენად მკვეთრი და მოხდენილი გამოდგა, რომ მან ცილისმწამებლებს ენა მუცელში ჩაუგდო და მაღაროს მუშათა წინაალმდეგ ვამართულ კამპანიას ბოლო მოუღო.

ამ ინციდენტიდან სამი მთავარი დასკვნა გამომდინარეობს: პირველი—კომუნისტების ადგილი არ არის იქ, სადაც საქმე ეხება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას საერთო, ეროვნული ინტერესების გონიერი გათვალისწინებით. მეორე—ამ პარტიას, ძალიანიც რომ სურდეს, არ შეუძლია პატივი სცეს პროფ. მოძრაობის დამოუკიდებლობას, რადგან ის მოსკოვის ინტრიგების ადგილობრივი კონტრაგენტია. მესამე—საკმაოა მუშათა კლასმა სცნოს მისი მუხანათობა და მტკიცედ შეუტიოს, რომ მაშინვე სოროში შეძვრეს და თავის კონცეპციების დაცვაზე ხელი აიღოს.

ვინ.

## ჟან ლონგე

ავტომობილზე ცუდი შემთხვევის შემდეგ სისხლის მოწამვლისაგან 12 სექტემბერს გარდაიცვალა ჟან ლონგე. მას წელს 62 წელი შეუსრულდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ მეტათ აქტიური და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანი იყო. ჟან ლონგე იყო შვილი ცნობილი კომუნარი შარლ ლონგესი და დედით კი შვილის შვილი კარლ მარქსისა. ის დაიბადა ლონდონში, სადაც დიდი ხნით ცხოვრობდა, განათლება მიიღო კი პარიზის უნივერსიტეტში. მას ახალგაზდობიდანვე დიდი კავშირი და ნაცნობობა ჰქონდა ცნობილ სოციალისტ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ: ინგლისელები—ჰაინდმანი, კეირ ჰარდი, ვილიამ მორისი და ფრანგები—გედი, ლაფარგი, ედუარდ ვაიანი, პრესანსე, ჟორესი. ამათი გავლენით ის თავიდანვე ჩაება სოციალისტურ მოძრაობაში.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში ლონგეს ეჭირა მეტად თვალსაჩინო ადგილი. ის იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ «პოპულერ»-ის, რომელიც 1918 წელს მან დაარსა, მუდმივი თანამშრომელი და ერთი რედაქტორთაგანი. დიდხანს იყო დეპუტატათ პარლამენტში, სადაც

ის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის მოვალეობას ასრულებდა. იყო მისი კომუნის —შატნეის ქალაქის თავათ და სენის დეპარტამენტის საბჭოს წევრათ.

ლონგემ ბევრი უცხო ენა იცოდა, ბევრსაც მოგზაურობდა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობას კარგად იცნობდა. ამ საკითხში ის პარტიის დიდი ავტორიტეტი იყო.

ჰამბურგის კონგრესის შემდეგ ლონგე მუდმივად ითვლებოდა სოციალისტური ინტერნაციონალის ეკზეკუტივის წევრათ და რამოდენიმე თვეა, ბრაკეს გასვლის შემდეგ, ის გახდა პარტიის წარმომადგენელი ინტერნაციონალის ბიუროში.

ლონგე მეტათ კულტურული და განათლებული პიროვნება იყო. მას რამოდენიმე საინტერესო წიგნიც აქვს დაწერილი. ის იყო მთელი თავის არსებით პარტიის კაცი და უერდგულესი პარტიული მუშაკი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში იშვიათად მოიძებნება მეორე პირი, რომელიც ლონგესავით პარტიის ზედა ფენებს, თუ მის მასას უყვაოდეს და პატივს სცემდეს. ეს ადვილად გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანის ყველა იმ დიდ თვისებებს, რომლითაც ლონგე იყო დაჯილდოვებული.

ლონგე დიდის პატივისცემით სარგებლობდა არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ აგრეთვე, განსაკუთრებით, ინგლისში და ამერიკაში, სადაც ის ხშირად მიდიოდა და პროპაგანდას ეწეოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ლონგე იყო პირველი ფრანგი სოციალისტი, რომელმაც 1918 წლის დეკემბერში მის გაზეთ «პოპულერ»-ში ჩვენი საკითხის გამო სპეციალური წერილი დასწერა და ქართველებს თანაგრძნობას უცხადებდა. შემდეგ, როცა კი საფრანგეთის პარტიაში, თუ ინტერნაციონალში დაისმებოდა საქართველოს საკითხი, ის ყოველთვის მას მხარს უჭერდა. ლონგე განსაკუთრებით დაკავშირებული იყო ჩვენ საქმესთან და ქართველებთან ამ უკანასკნელ ხანებში. ის ყველაფერში ჩვენი დამხმარე იყო. მისი სიკვდილით ჩვენ დიდი მოამაგე დავკარგეთ.

ლონგეს გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშა გაეგზავნა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას საქ. სოციალდემოკრატიისაგან.

## ტომ შოუ

26 სექტემბერს ლონდონში გარდაიცვალა ინგლისის მუშათა პარტიის და პროფესიონალური მოძრაობის მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელი— ტომ შოუ. გარდაცვალების დღეს მას 66 წელი შეუსრულდა.

შოუ 6 წლისა იყო, როცა მან მუშაობა დაიწყო ლანკაშირის ერთ საქსოვ ქარხანაში. ის მალე გახდა ინგლისელ ფეიქართა ხელმძღვანელი, შემდეგ კი ფეიქართა ინტერნაციონალური კავშირის მდივანი და ამ უკანასკნელ თანამდებობას ის ბოლომდე ასრულებდა. შოუ იყო თემთა პალატის წევრი, შრომის მინისტრი მუშათა პირველ მთავრობაში და სამხედრო მინისტრი მაკდონალდის მეორე კაბინეტში.

შოუ ითვლებოდა დიდი პრაქტიკული უნარის მქონე ადამიანათ და კარგ ორგანიზატორათ. მუდამ მხიარული, მომცინარე და ოხუნჯი შოუ დიდი პოპულიარობით სარგებლობდა ინგლისის მუშათა წრეებში. მას კარგად იცნობდენ აგრეთვე კონტინენტზედაც. ინგლისელ მუშათა შორის ის იყო იშვიათი პიროვნება, რომელიც უცხო ენებზე (გერმანული, ფრანგული, ფლამანდური) თავისუფლათ ლაპარაკობდა. ეს კი აძლევდა მას საშუალებას სხვადასხვა დავალებებით ევროპის ქვეყნებში ხშირად ემოგზაურა.

1920 წლის შემოდგომაზე შოუ ინტერნაციონალურ დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა და იქ რამოდენიმე კვირა დარჩა. ის საქართველოთი აღფრთოვანებული დაბრუნდა უკან. როცა შემდეგ ჩვენ ქვეყანას მტერი შემოესია, შოუ არაერთხელ გამოსულა სიტყვიერათ, თუ წერილობით ჩვენი საქმის დასაცავათ.

ტომ შოუს გარდაცვალების გამო ინგლისის მუშათა პარტიას სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს ნ. ჟორდანიამ და კ. გვარჯალაძემ

## ბიბლიოგრაფია

გამოვიდა ამხ. ვ. ჩუბინიძის «მოგონება». წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეხება ჭიათურის მაღაროს მუშების ცხოვრებას. ვ. ჩუბინიძეს რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში უმუშავნია ჭიათურის სამრეწველო რაიონის ფარგლებში, უშუალო მონაწილეობა მიუღია ყველა იმ ბრძოლებში, რომელსაც აქაური მუშები აწარმოებდენ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ამ ბრძოლების ზოგ ეპიზოდებს ავტორი მოხდენილად აღწერს.

«მოგონების» მეორე ნაწილში, რომელიც შეადგენს წიგნის ორმესამედს, აღწერილია სახალხო გვარდიის საქმიანობა საქართველოში.

სახალხო გვარდიის როლზე და მუშაობაზე ჩვენში ხშირად მეტად მრუდე და შემცდარი წარმოდგენა არსებობს. აკრიტიკებენ არა მხოლოდ გვარდიის ზოგიერთ მოქმედებას და ზომებს, რაც თავისთავად ბუნებრივი და დასაშვები არის, არამედ საერთოდ გვარდიის არსებობას საქართველოში მავნე მოვლენათ სთვლიან. ამ უკანასკნელ აზრს სავსებით არღვევს და აბათილებს ის, რაც გვარდიის შესახებ მოთხრობილია ვ. ჩუბინიძის «მოგონებაში».

ავტორი აგვიწერს იმ დროს, როცა ფრონტიდან აუარებელი და გახრწნილი რუსის ჯარისკაცები იარაღით ხელში მირბოდენ, თფილისის დასარბევად ბოლშევიკები მათ წინ მიუძღოდენ და მათი საშუალებით აპირებდენ ჩვენში საბჭოთა წყობილების დამყარებას. ამ სერიოზულ მდგომარეობას თფილისის მუშები შესაფერისი თადარიგით და თავდაცვისათვის დიდის მზადებით შეხვდენ. ნაამბობია, თუ როგორ იკრიბებოდენ ჯგუფ-ჯგუფობით მუშები ქარხნებში, როგორ იწვრთნებოდენ და სწავლობდენ იარაღის ხმარებას, როგორ აიღეს თფილისის არ-

სენალი და ამ გზით გაიჩინეს საკმაო იარაღი. სახალხო გვარდიის შეიარაღებულ რაზმებს საქართველოს საზღვრებიდან ჩრთილოეთისაკენ გაყავდათ კავკასიის ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები და ჩვენ ქვეყანას იცავდენ დარბევის და ანარქიისაგან.

დიდი როლი უთამაშნია გვარდიას აგრეთვე შინაური წესრიგის დამყარებაში. ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღწერილია, თუ როგორ აქრობდა და აწყნარებდა გვარდია ქართული ნაციონალური პოლკების გაბოლშევიკებულ ჯარისკაცების და ბოლშევიკების აგენტების მიერ მოტყუებულ მცხოვრებლების აჯანყებას გორში, ქუთაისში, ცხინვალში, სოხუმში, დუშეთში, საჩხერეში, ლეჩხუმში და სხვა. საქართვ. დასაცავათ გვარდია თავდადებულ და ენერგიულ ბრძოლებს აწარმოებდა ამავე დროს მომხთურ გარეშე მტრების წინააღმდეგ, როგორიც იყვნენ, მაგალითად: ოსმალები, გაწითლებული აზერბაიჯანის სომხები, დენიკინელები და საბჭოთა რუსეთი.

წიგნი დაწერილია უბრალოდ და უპრეტენზიოდ. ავტორი არავის არ აკრიტიკებს, არაფერს არ იწუნებს და არც იწონებს. მას მოყავს მშრალი ფაქტები, აღწერს მხოლოდ იმ ამბებს, რომლის მონაწილე თვითონ ყოფილა და თვითონ უნახავს, როგორც გვარდიის უბრალო ჯარისკაცს. ამიტომ ამ წიგნში მოთხრობილი სახალხო გვარდიის მოქმედების და და მუშაობის ისტორია არ შეიძლება იყოს სრული და ამომწურავი.

ავტორს მოყავს ფაქტები, ნაჩვენებია ყველა დატები, მოხსენებულია პირები, რომლებთაც ამ ამბების დროს ის ხვდებოდა. სჩანს, მას დღიური უწარმოებია.

მოხსენებულ პირთა შორის, სამწუხაროდ, დღეს ბევრნი ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ ამ ამბების ზოგი მონაწილეთაგანი ჯერ კიდევ ცოცხლობენ და მათ შეუძლიათ, თუ წიგნში რაიმე შეცთომებია შეპარული, ის განმარტონ და შეასწორონ.

ამხ. ვ. ჩუბინიძე მადლობის ღირსია, რომ მან საინტერესო მასალა მისცა სახალხო გვარდიის მომავალ ისტორიკოსს.

## მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიას თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ამ საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე მან ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ქართველი ხალხის ისტორიაში და წაუშლელი კვალი დააჩნია მისი ეროვნულ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიურ ზრდა-განვითარების მსვლელობას. მრავალმხრი და მრავალფეროვანი იყო ჩვენი პარტიის მოღვაწეობა; იგი მჭიდრო კავშირში იყო ქართველ ხალხთან,—განსაკუთრებით მის მშრომელ ნაწილთან,—და უცვლელად მეთაურობდა მის გმირულ ბრძოლებს წინააღმდეგ რუსეთის თვითმპყრობელობისა, რომლის დანგრევას ქართველ ხალხისთვის უთუოდ უნდა გაეხსნა,—და კიდევაც გაუხსნა,—გზა ეროვნულ სუვერენობის აღდგენისაკენ. ამ ბრწყინვალე წარსულს, ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გმირულ ბრძოლებს დღეს ეპატრონება და იჩემებს კომინტერნის ადგილობრივი ფილიალი—საქართველოს კომუნისტური პარტია. ყველაფერს, რაც კი საქართველოში გაკეთებულა, აწერენ ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც იმ დროს საქართველოში სრულ არარაობას წარმოადგენდა როგორც წევრთა რიცხვით, ისე გავლენით.

მოსკოვის საშინელ საოკუპაციო ხელისუფლების ბრჭყალებში გამომწყვდეულ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ გადაურჩენ ჩეკის რისხვას და განუკითხავ ხოცვა-ჟლეტას, საშვალება არა აქვთ ხმა აღიმაღლონ და ამხილონ სრულ გათახსირებამდე მისულ კომპარტიის ცრუ ისტორიკოსები. ამ მხრივ უკეთეს პირობებში ვართ ჩვენ,—უცხოეთში გმდმოხვეწილვი,—რობელნიც სიტყვის, წერისა და აზრის თავისუფლების ქვეყნებში ვცხოვრობთ. ჩვენ შორის არიან დიდ ამბებთა უშუალო მონაწილენი, განვლილ მოძრაობის დიდი თუ პატარა ხელმძღვანელები და ჯარისკაცები.

ჩვენი პარტიის ისტორია ჯერ არ დაწერილა, საისტორიო მასალებიც კი არა გვაქვს შეგროვილი, ურომლისოდაც ჩვენი პარტიის მომავალ ისტორიკოს მეტად გაუძნელდება ბოლშევიკების მიერ ურცხვათ დამახინჯებულ სიმართლის აღდგენა და ნამდვილ ვითარების სწორი სურათის მოცემა. ჩვენი უპირველესი პარტიული მოვალეობაა დაუყონებლივ შევუდგეთ ამ მეტად საჭირო მასალების შეგროვებას. ყოველივე ცნობას, ყოველივე ეპიზოდს ჩვენი პარტიის ცხოვრებიდან დღიდან მისი გაჩენისა დიდ რევოლიუციამდე, რევოლიუციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, აგრეთვე საქართველოს დაპყრობის შემდეგ, დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს და ექნება ჩვენი პარტიის სწორი ისტორიის დასაწერად, მოპირდაპირეთა და მტერთა მიერ დამახინჯებულ სიმართლის აღსადგენად.

თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ დიდ მნიშვნელობის მქონე მასალების შეგროვებაში და მით თავისი ვალი მოიხადოს პარტიის წინაშე.

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო დაბეჯითებით თხოვს ყველა ამხანაგებს, ვისაც კი ეს შეუძლია და ამის საშვალება აქვს, მოაწოდონ მას თავისი მოგონებები ჩვენი პარტიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დარგიდან. ამ მოგონებების ერთი ნაწილი, რომელსაც სადღეისო მნიშვნელობა ექნება, შეიძლება თანდათანობით იქნეს გამოყენებული და დაბეჭდილი «ბრ. ხმა»-ში, დანარჩენი შეინახება პარტიის არხივში და დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი პარტიის მომავალ ისტორიკოსს.

ბიურო ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ეგ მოწოდება არ დარჩება გამოუხმაურებლად და ამხანაგები დაუყონებლივ შეუდგებიან ზევით აღნიშნულ მათ მოვალეობის აღსრულებას.

ამხანაგური სალამით
საქ. ს.-დ. მ. პ. საზ.-გარეთელი ბიურო.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill*

Le Gérant ; René Toussaint.